# საერთო გაზეთი

№2 (683)
ოთხშაბათი
25 იანვარი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

# შუა დერეფნის ბილიკიდან – გზატკეცილამდე




**ირაკლი ღარიბაშვილი:** დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა: „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“. ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის

## იგორ კვესელავა: ჯო ბაიდენი ამერიკელი ბრეჟნევია





## მადამ, გაჩხიკული დეგნანი გაჩოქებთ, თუ პირდაპირ „მძინარე ჯო“?

# დიპლომატია მილიტარიზაციამ ჩაანაცვლა

## ნანა კაკაბაძე: „ლიბერალური ჭანჭიკი“ – „ნაცმოძრაობა“ დასასრულს უახლოვდება





## ალალი ვანო გონიერიც ყოფილა

## ლია ელიავა: ეკონომიკისა და ხალხის ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებს არ უნდა გადააყოლო



**„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

# შუა დერეფნის ბილიკიდან – გზატკეცილამდე

## ირაკლი ღარიბაშვილი: დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა: „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“. ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის

დავოსის ეკონომიკური ფორუმი დასრულდა. 52 სახელმწიფოს ლიდერი და საერთაშორისო მასშტაბის 600-ზე მეტი კომპანიის მმართველი ოთხი დღის განმავლობაში შვეიცარიის ალპებში იმყოფებოდნენ, სადაც მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაზე მსჯელობდნენ...

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ორივე მიმართულებით პირისპირ შეხვედრები ჰქონდა, შემდეგ კი დავოსის თემატურ ფინალურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.

საქართველოს პოტენციალი და პერსპექტივა — „შუა დერეფანი“, როგორც ევროპის სტაბილურობის გარანტი და საქართველოს მთავრობის მეთაურის მნიშვნელობა მოდერაციისთვის, — სწორედ ეს იყო საუბრის თემები.

საქართველოსთვის ავისმოსურნეებს კი მოთხარა თვალი პრემიერმა, მაგრამ თვით ფორუმის მონაწილეები ძალზე დიდი ინტერესით უსმენდნენ ბატონ პრემიერსაც და სხვა სტუმრებსაც.

საინტერესოდ წარუდგინეს როგორც დამსწრე საზოგადოებას, ისე მსოფლიოს, „ევრაზიის შუა დერეფნის“ წარმომადგენლები, „განსაკუთრებით შთამბეჭდავი სტუმრები“: ბატონი ილჰამ ალიევი (აზერბაიჯანის პრეზიდენტი) და ირაკლი ღარიბაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი). მათ გვერდს უმშვენებდნენ: ებრუ ოზდემირი („ლიმაკ ჰოლდინგის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) და იოჰანეს ჰანი (ევროკომისარი საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ საკითხებში).

მოკლედ რომ ვთქვათ, მათი საუბრიდან ისე ჩანდა, რომ მიზეზთა გამო (ითქვა კიდეც, რუსეთ-უკრაინის ომი), „ჩრდილო დერეფანი აღმოსავლეთიდან დასავლეთით“ ნაკლებად დატვირთულია, რის გამოც „შუა დერეფანი“ უფრო დატვირთული გახდება.

ილჰამ ალიევმა გულითადი სიცილით აღნიშნა, სწორედ ისე დავსხედით, როგორიც იქნება ჩემი მილსადენის მიმართულება „დერეფანში“ — აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი-ევროპაო. დარბაზში დამსწრეთა სიცილს სასწრაფოდ გაეპასუხა„ევროპა“, პირიქით მიმართულებაზეც ვმუშაობთო, — თურმე როგორ მომნატრებია ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი სტუმრები, შეხვედრის ტაქტიანი წამყვანი და ადეკვატური დამსწრე საზოგადოება...

საინტერესო და მრავლისმთქმელი ფრაზა თქვა ბატონმა პრემიერმა, ქვეყნებმა და ერებმა ეკონომიკების დივერსიფიკაცია უნდა მოახდინონ. მისმა ამ ფრაზამ სასწრაფოდ მოიარა სოციალური ქსელები.

ერთნი ამბობდნენ, ეს რა „ჩაარტყა“, აი, ხომ ვამბობდითო (რუსეთთან ურთიერთობა იგულისხმებოდა, მით უმეტეს, რომ ლავროვის ნათქვამი საქართველოსგან რუსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე, დროში დაემთხვა), მეორენი კი პრემიერს ახსენებდნენ არსებულ რეალობას და რჩევას აძლევდნენ, ანდა, სულაც მოკლედ და გასაგებად აქებდნენ: „ევროპული ქვეყნები, ერთის მხრივ გაიძახიან, რომ რუსეთს არ ენდობიან, თუმცა, ამავდროულად, კომფორტულად თანამშრომლობენ მასთან ვაჭრობის თვალსაზრისით. სწორედ ამ შინაარსობრივი მიდგომის ცვლილებას გაესვა ხაზი“; „თუ ასეა, საქართველოს მთავრობამ ყურად იღოს ხალხის ხმა და თუ უნდა დაკარგული ტერიტორიების უმტკივნეულოდ დაბრუნება, გამართონ დიალოგი რუსეთთან. რას ელოდებიან? ასე კუკუდამალობანა თუ ითამაშეს და „ნატოს“ ელოდნენ, კიდე 30 წელი მოუწევთ ლოდინი“; „მათთვის ფინანსურადაა მომგებიანი და ითანამშრომლებენ რუსეთთან, მაგრამ ჩვენ თუ მოვინდომეთ, აპა-პა! მათთვის ყველაფერი დასაშვებია — ჩვენ უაზრო, პატარა ბავშვები ვართ, მათგან უნდა ავიღოთ ნებართვა“; „საქართველო არის დეგნანის ტყვე!“ „ყველა თანამშრომლობს რუსეთთან და დიდ სარგებელს ნახულობენ, ჩვენ გვიკრძალავენ ვირთხები. საღოლ, „ღარო“, ჯიგარი ხარ!“ „ირაკლი, მაგარი ხარ, აღარ შეუშინდე ლიბერასტებს!“

დიდი კაპიტალის დაბანდება საგზაო ინფრასტუქტურაში, საპორტო ინფრასტრუქტურაში — ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა რითია საქართველოსთვის ცუდი, რა არ მოსწონთ მავანთ?

ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, ვახსენო შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი. ესეც ძალიან საინტერესო ინიციატივაა. ამას ვაკეთებთ აზერბაიჯანთან, რუმინეთთან, უნგრეთთან ერთად. ბუქარესტში ვიყავით დეკემბერში და ხელი მოვაწერეთ „ურთიერთგაგების მემორანდუმს.“ ოთხივე ქვეყანა განახორციელებს ამ პროექტს და ინვესტიციას ჩადებს ამ ამბიციურ პროექტში. ამიტომ მზად უნდა ვიყოთ, რომ ამ „დერეფანში“ საქონელბრუნვა გაიზრდება. ეს მარშრუტი ყველაზე მოკლეა ევროპასა და მწარმოებლებს შორის. მაგალითად, ჩინეთიდან მომავალი მატარებელი, რომელსაც 45 დღე თუ სჭირდება ზღვით, საქართველოს გაივლის თხუთმეტ, მაქსიმუმ ოც დღეში. ამიტომ ეს საინტერესო, მნიშვნელოვანი დერეფანია და ყველა ეს ქვეყანა ნამდვილად მოტივირებულია და მიზნად ისახავს ამ დერეფნის განვითარებას. ორი თვის წინათ ყაზახეთში ვიყავით და შევთანხმდით საგზაო რუკაზე, როგორ განვავითაროთ ეს დერეფანი და როგორ მოვხსნათ ეს ხელოვნურად შექმნილი ბარიერები. ამ მიმართულებით აქტიურად მივდივართ. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიგვაჩნია, რომ დიდი პოტენციალი გვექნება. ყველა ეს ქვეყანა სარგებელს მიიღებს ამ „დერეფნიდან“.

ფაქტობრივად, საქართველო იბრუნებს იმ ისტორიულ როლს, როდესაც საუკუნეების განმავლობაში „დიდი აბრეშუმის გზა“ საქართველოზე გადიოდა.

ან ეს შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრონული კაბელის გაყვანა რას ვნებს საქართველოს?

აზერბაიჯანი, საქართველო, უნგრეთი, რუმინეთი — ეს ოთხი ქვეყანა თუ ერთობლივად განახორციელებს ამ ამბიციურ პროექტს (მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ), თუ საქართველოს მტერი არ ხარ, რატომ არ უნდა გაგიხარდეს?!

ანდა, ბატონი პრემიერი თუ ძალზე ოპტიმისტურად არის განწყობილი პარტნიორებთან ერთად, ჩვენ რატომ არ უნდა ვიყოთ ოპტიმისტურად განწყობილი?



საგულისხმო და საინტერესო რამ თქვა ქალბატონმა ებრუ ოზდემირმა საფასურის გადახდასთან დაკავშირებით. შეიძლება, ბლოკჩეინი გახდეს ის ფულადი ერთეული, რომლითაც მოხდება ვაჭრობა — არ უნდა შეგვეშინდეს ახალი, თანამედროვე იდეების გაჟღერებისო.

(ბლოკჩეინი — ღია, ტრანზაქციების ბლოკნოტი, რომლებიც ხორციელდება ორ მხარეს შორის. ის დაფუძნებულია P2P პრინციპზე. ერთხელ განხორციელებული ტრანზაქციის ჩანაწერის შეცვლა შეუძლებელია ყველა მომდევნო ტრანზაქციის ბლოკის შეცვლის გარეშე. 2009 წელს ბლოკჩეინი გამოცხადდა კრიპტოვალუტა „ბიტკოინის“ მთავარ შემადგენელ ნაწილად, რომელიც აღრიცხავს და ბლოკებად გარდაქმნის განხორციელებულ ტრანზაქციებს. ბლოკჩეინის გამოგონებამ „ბიტკოინს“ საშუალება მისცა, გადაეჭრა ორმაგი ხარჯვის პრობლემა მესამე (სანდო) მხარის ჩარევის გარეშე).

იოჰანეს ჰანისთვის (მაშასადამე, ევროკავშირისთვის) ეს არ არის მხოლოდ გარანტირებული მიწოდების ჯაჭვი. ეს არის ბევრი ასპექტი და საკითხი — ჩვენ ამაში ვხედავთ მშვიდობასაც და სტაბილურობასაცო.

საინტერესოა — ევროკავშირს მშვიდობა და სტაბილურობა უნდა „შუა დერეფანში“, კავკასიაში, ვთქვათ, საქართველოში, მაშინ აბა, ვის უნდა დესტაბილიზაცია და ომი, ვისი ზურგით გვეჯგიმება უკრაინა და ვისით გულმოცემულები ცდილობენ, გამუდმებით „ადგილობრივი წარმოების“ მავნებლები დესტაბილიზაციას?

ეს პატივცემული იოჰანეს ჰანი ისე შეფუთულად „დაინტერესდა“, რატომ იყო დავოსში კავკასიის რეგიონიდან სამის ნაცვლად მხოლოდ ორი ლიდერი, თითქოს ალიევს რამეს გამოაპარებდა, ან ბატონი ალიევი ყურსმიღმა გაატარებდა.

ჩვენ გვინდა მშვიდობა და სტაბილურობა სამივე ქვეყანაშიო, — კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჰანმა.

რა უცნაური კაცი ყოფილა ეს ჰანი — სამივე ქვეყანაში, ჩვენ, ხალხს არ გვინდა მშვიდობა? სხვისი არ ვიცი და, საქართველოს 30 წელია, უცნაური ჭოგრიტით გვაკვირდებიან ეს „დამკვირვებელი ევროპელები“ უცნაურივე ფორმით და ხომ კარგად იციან, სად მარხია ომისა და დესტაბილიზაციის ნაღმიცა და მშვიდობა-სტაბილურობის გასაღებიც?

კი, ნამდვილად მნიშვნელოვანი ინიციატივაა „შუა დერეფნის ბილიკის გზატკეცილად გადაქცევა“, მაგრამ ის „გასაღების მფლობელი“ რა ჭკუაზეა, ეტყობა, იცის და ალბათ, ისიც იცის, როგორ მოთოკავენ, მაგრამ არ გვიმხელს...

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩინეთიდან მოყოლებული და ევროპით დამთავრებული, ბევრი შემოუერთდება „შუა დერეფანს“ და ეს ერთობა მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

იოჰანეს ჰანისა არ იყოს, ჩვენც კარგად ვიცით, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის როგორი დაძაბული ურთიერთობაც არის, თუმცა მაინც საინტერსოა ოფიციალური განმარტება, რატომ არ იმყოფებოდა სომხეთის წარმომადგენელი ამ შეხვედრაზე (საინტერესოა, ჩვენი პრემიერიც ხელს ჰკრავდა ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრას თუ ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტი იქნებოდა? — არა მგონია).

როგორც ილჰამ ალიევმა განმარტა, უდაბნოში ვართ, რადგან,



სამწუხაროდ, სომხეთმა არ უპასუხა მათ წინადადებას, გაფორმებულიყო „მშვიდობის შეთანხმება“ და უარი თქვა „სამმხრივი ფორმატის“ (საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი) დაწყებაზე. სხვები რას ფიქრობენ, არ ვიცი, მაგრამ სომხეთის ხელისუფლებას რომ გონება ჰქონია არეული: არც მშვიდობა უნდა და არც სტაბილურობა, არც გარჯა და არც ჯიბეზე ხელის გაკვრა, ამ ქმედებით გამოჩნდა — რა შუაშია აზერბაიჯანი და ალიევი, მის გარშემო ხომ არ ბრუნავს სამყარო...

ილჰამ ალიევი: „ჩვენი წინადადება იყო, რომ ლიდერები შევხვედროდით საქართველოში, რადგან ლიდერები, ისტორიულად, იკრიბებიან საქართველოში, მაგრამ სომხეთი ამისთვის მზად არ არის“.

ირაკლი ღარიბაშვილი: „რაც შეეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობებს, მინდა გითხრათ, რომ საქართველო ნამდვილად ნეიტრალური, ობიექტური და მიუკერძოებელი მედიატორია. რაც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, ნამდვილად არის ჩვენს ინტერესებში, რომ შედგეს სამმხრივი შეხვედრა, იმიტომ, რომ ეს რეგიონი გვეკუთვნის ჩვენ: აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს და ჩვენ შეგვიძლია გარდავქმნათ ეს რეგიონი რეგიონალურ შესაძლებლობებად, მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის შესაძლებლობებად.“

ტეგია, რაშიც დიდი ინვესტიციების ჩადება აქვთ განზრახული, საუბარია განახლებად ენერგიაზე, რომელთაც იძლევა: მზის, ქარის, წყლის, ტალღების, გეოთერმული და ბიომასის ენერგიები, რათა იაფი ენერგია გამოვიყენოთ.

რა „განახლებადი ენერგია, ვის რაში სჭირდება ეს ყურით მოთრეული ფრაზებიო“, — აქირქილდნენ მავნებლები, შესაძლოა, ამასთანავე, უწიგნურებიც რომ არიან.

ასეთ ადამიანებს ვერაფრით დააჯერებ, რომ დედამიწის მოსახლეობა რეკორდული სისწრაფით იზრდება, არგუმენტი აქვთ, მხოლოდ იბადებიან, აღარავინ კვდებაო?

ასეთ „სწავლულებს“ ვერც იმას დააჯერებს ვინმე, რომ დედამიწის ბუნებრივი წიაღისეული ამოწურვადია და ამიტომ გარდაუვლად აუცილებელია ენერგიის განახლებადი წყაროების როგორც მოძიება, ასევე მისი ეფექტურად გამოყენება, რათა ენერგიის უაზროდ გაფლანგვა მოხდეს.

რადგან ბატონმა პრემიერმა თქვა, ამიტომ არის ამგვარი მავნებლებისთვის ყველაფერი სიცრუე და გამოგონილი, თორემ რეალურად, მართლაც ყველაფერი ახალი, მივიწყებული ძველია. ყველა ჩამოთვლილ განახლებად ენერგიას დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები ათასწლეულების წინათ მოიხმარდნენ.

„უმაგრესი და უნიჭიერესი




კი, ნამდვილად არის პოტენციური რისკი „დერეფნიდან“ სომხეთის ამოვარდნა, რადგან, თუ კავკასიის სამივე ქვეყანა გააერთიანებს ძალისხმევას (ენერგია, ტრანსპორტი, უსაფრთხოება, სტაბილურობა, საზღვრის დელიმიტიზაცია) ბევრად უსაფრთხო იქნება რეგიონი.

ფინალურ დისკუსიაში პრემიერმა აუწყა დამსწრე საზოგადოებას (საერთაშორისო მასშტაბის 600-ზე მეტი კომპანიის მმართველს): ის, რაც ნამდილად ასეა — რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნესკლიმატია ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით; საქართველო პირველ ოცეულშიცაა, პირველ ათეულშიცაა ეკონომიკური თავისუფლებისა და ბევრი სხვა რეიტინგისა და ინდექსების კონტექსტში; რომ ოთხი თავისუფალი სამრეწველო და ეკონომიკური ზონა გვაქვს, რაც იშვიათი შესაძლებლობაა უცხოური კომპანიებისთვის; რომ საქართველო მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით; რომ საქართველომ, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, შეიმუშავა სტრა-

პრემიერი!“ „უმაგრესი ადამიანია ირაკლი...“ „ ჯიგარი ხარ, ირაკლი“ „გაიხარე, ჩვენო პრემიერო!“ „მართალი ხარ, ირაკლი!“ „წარმატებები, ბატონო ირაკლი ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში!“ „იუმორი აუცილებელია პოლიტიკაში!“ „ბრავო, ირაკლი, რა მაგრად თქვა!“ „სად ჩაურტყააააა...“ „სერიოზული ფორმულაა...“ — უამრავი საქებარი შეძახილი ასოებად იწერებოდა სოციალურ ქსელებში.

კი, მაგრამ რა თქვა ასეთი პრემიერმა შუაგულ დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე?

ირაკლი ღარიბაშვილი: „ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა გამონათქვამი: „ენდე, მაგრამ გადაამოწმე“. დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა: „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“. ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის!“

ეს ისეთი გზავნილი იყო პრემიერისგან, დარწმუნებული ვარ, ადრესატამდე შხუილით მივიდა!

მართლაც ბრავო, პრემიერო!

**ნინო დაუშვილი**

# კახა კალაძე: „არავის არაფერს გავუტარებთ“

თბილისის მერიაში, მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის პირველი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და საახალწლო ღონისძიებებში ჩართულობისთვის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და მეწარმეებს მადლობა გადაუხადა.

მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ საკუთარ მოადგილეებსა და სხვადასხვა სამსახურის უფროსებს მიმართა, რომ კორუფციის მიმართულებით კრიტიკული იყვნენ და მსგავსი ფაქტები არ დაუშვან.

„ყოველი წლის დასაწყისში ვსაუბრობ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე და წელსაც, მინდა, ამ თემას კიდევ ერთხელ მივუბრუნდე. მინდა, გაგაფრთხილოთ ყველადაწყებული ჩემი მოადგილეებით, სამსახურების უფროსების, გამგებლების, სსიპ-ების, ა(ა)იპ-ების, შპს-ების ხელმძღვანელების ჩათვლით, ძალიან კრიტიკული ვიქნებით და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კორუფცია არ იყოს დაშვებული. ეს არის ძალიან მძიმე საკითხი, რომელსაც ჩვენი მხრიდან ყოველთვის მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. ასე იყო წლების წინ, ასე იქნება ახლაც და მომავალშიც. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კორუფცია საფუძველშივე არ დავუშვათ და იყოს ამოძირკვული“, - განაცხადა თბილისის მერმა.

ამ მკაცრი განცხადების მიზეზეზი ჩემის აზრით ვაკის პარკში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა გახდა რომელიც პატარა გოგონას გარდაცვალებით დასრულდა. ზუსტად ამ ტრაგიკულმა მოვლენამ გომაოვალინა მანკიერი პრაქტიკა, რაზეც დღეს მიმდინარეობს გამოძიება და სასამართლო პროცესები.

მსგავსი შინაარსის საჯარო მიმართვა, რომელიც კახა კალაძემ საკუთარი თანამშრომლების წინაშე გამოსვლისას ბოლო ბრიფინგზე გააკეთა: **„მე ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, თუ რომელიმე ჩვენს თანამშრომელს სჭირდება მხარდაჭერა, სჭირდება დახმარება, მზად ვარ, პირადად მოვუსმინო. გვერდით დავუდგე, ხელი შევუწყო, მაგრამ ასევე ძალიან მკაცრი იქნება ჩემი რეაქცია კორუფციული ფაქტების მიმართ...“** – ეს არის დროული სიგნალი ყველასთვის, რომ ხელმძღვანელმა პირებმა დაიწყონ და აღადგინონ საკუთარ თანამშრომლებთან კომუნიკაცია.

როგორც მოგეხსენებათ თბილისის საქალაქო სასამართლოში ვაკის შადრევნის საქმის ირგვლივ სასამართლო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს: იკითხებიან მოწმეები, პროკურატურა ყველაფერს აკეთებს, რათა ამ ტრაგედიაში სხვა მონაწილე პირებიც დაადგინოს, მაგრამ ფაქტია: თბილისის მერს ამ ტრაგედიის ფონზე ეჭვი საკუთარი აპარატის თანამშრომლების მიმართ უკვე გაუჩნდა. რომ არა მავანთა ფარული ინტერესები, ვაკის პარკის შადრევნის მშენებლობა ასე სწრაფად ექსპლუატაციაში ვერ შევიდოდა და დასრულებულადაც ვერ გამოცხადდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ საქმეზე თავისი ვერსია ოპერატიულად უკვე გაავრცელა, რომელიც ოფიციალურად ასე გამოიყურება:

„2022 წლის 22 სექტემბერს ელექტროშემდუღებლებმა სამუშაოს წარმოების დროს დაარღვიეს უსაფრთხოების ნორმები, კერძოდ: წყლის მილებზე, უჟანგავი ლითონის კონსტრუქციის მორგების მიზნით, მოხსნეს ელექტროძრავის შესაფუთი ლითონის ცხაური, რომლის კვლავ დამაგრებისას, ბეტონის ზედაპირსა და ცხაურს შორის მოაყოლეს ელექტროსადენი, რის შედეგადაც დაზიანდა სადენის იზოლაცია“.

„გრინსერვის +“-ის დირექტორმა შესრულებული სამუშაო შესაბამისი ინსპექტირების ჩატარების გარეშე წარუდგინა მერიის საქალაქო სამსახურს, ხოლო მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილემ აღნიშნული მიიღო შესაბამისი ინსპექტირების გარეშე.

„თავის მხრივ, „გრინსერვის +“-ის ქვეკონტრაქტორი ფირმის წარმომადგენელმა - ლ. ჭ.-მ არ გადაამოწმა თავის მიერ დაქირავებული ელექტროშემდუღებლების მიერ შესრულებული სამუშაო, ხოლო, „გრინსერვის +“- ის საქმეთა მწარმოებელმა – ბ. მ არ გაუწია შესაბამისი კონტროლი აღნიშნულ საქმიანობას“.

„2022 წლის 25 აგვისტოს, დ.თ-მ და ნ. ქ-მა [საექსპერტო კომპანიის დირექტორმა და თანამშრომელმა] შეადგინეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტი - ინსპექტირების ანგარიში, რომლის დასკვნით ნაწილში ასევე დააფიქსირეს, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს“.

„აღნიშნული ყალბი დასკვნა შპს „გრინსერვის +“-ის დირექტორმა - ლ. ფ-მ წარადგინა თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, რაც გახდა მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი“.

დარწმუნებული ვართ, სასამართლო დეტალურად გაარკვევს შესაძლო დანაშაულში ყველა მონაწილის უშუალო როლს და განზრახვას.

ვინც კალაძეს იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი, როგორც ახალგაზრდა მერი, რომელიც მთელ თავის დროს, ენერგიას და პიროვნულ რესურსს ქალაქის განვითარებას ახმარს, საკუთარი იმიჯის შელახვას უფლებას არავის მისცემს და ამის მაგალითი ტელეკომპანია „ტვ-პირველის“ წამყვანის მაია მამულაშვილის მიმართ დაწყებული და წარმატებით დასრულებული სასამართლო პროცესიც კმარა. კალაძის ადვოკატის კომენტარის მიხედვით, საქმე მხოლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებულ მცირეოდენ თანხაში არ არის. უსაფუძვლო ცილისწამებას კახა კალაძე არავის პატიობს! მიზეზი? მის მიერ



განვლილი ცხოვრების გზაა, რომელიც მან საკუთარი თავდაუზოგავი შრომით შექმნა.

დედაქალაქის უახლეს ისტორიას არ ახსოვს, რომ თბილისი მერი თავის თანამშრომლებს პარალელურად თან კორუფციაში მონაწილეობისათვის წინასწარ მკაცრად აფრთხილებდეს და ამასთან, დანაშაულის ჩადენის ნაცვლად, საჭიროების შემთხვეაში, პირად მოისმენს მათ გასაჭირს და შესაბამის დახმარებასაც გაუწევს. დიახ სწორედ ეს არის მართებელი მართვის სისტემა. თავად მერისგან ამ სიტყვების მოსმენა, გულწრფელად რომ ვთქვათ, მუნიციპალიტეტის რიგითი თანამშრომლისათვის დიდი სტიმულის მომცემი უნდა იყოს, რომელსაც თვიდან თვემდე საკუთარი ხელფასით გააქვს თავი.

საზოგადოებას კარგად ახსოვს ბნელი წარსული, როცა ელიტური კორუფცია აშკარად ჰყვაოდა. მათ შორის, არც პარალელების გავლებისა და შედარების უნარი დაუკარგავს, ძველსა და ახალ რეალობას შორის სხვაობას რომ ვერ ხედავდეს!

დიახ, ჩვენი ქალაქის მერი ახლა დიდი გამოწვევების წინაშეა. დაველოდოთ სასამართლოს გამოძიებას. თუმცა აშკარაა, რომ „კეთილმოსურნენი“ ჩასაფრებულის პოზიციიდან ელოდებიან, როდის გადაუბრუნდება ფეხი. ახლაც თვალწინ მიდგას ტრაგედიის გამო ბატონი კახას შეშფოთებული სახე და სამარცხვინოა, რომ კრიტიკული მედიიდან არცერთს არ გაუხმოვანებია მისი არანაკლებ გულისხმიერებით გამოწვეული ნაბიჯი, როდესაც ვაკის პარკის უბრალო თანამშრომელი, რომელმაც სიცოცხლის ფასად სიკვდილისგან სხვა ბავშვები იხსნა, ბინით დაასაჩუქრა. ამით ყველაფერია ნათქვამი!

**„ვინმეს თუ რაიმე სჭირდება, მხარდაჭერა თანადგომა, მზად ვართ, ყველანაირად ხელი შევუწყოთ, მაგრამ კორუფციულ ფაქტებს მკაცრი რეაგირება მოჰყვება. არავის არაფერს გავუტარებთ!!!“**

დარწმუნებული ვართ, რომ თბილისის მერის, კახა კალაძის მიერ გამოთქმული ეს ფრაზები ისეთივე გულწრფელია,როგორც მისი ცრემლები დიდი ტრაგედიის დროს!

**ლევან ჭილლაძე**
557 74 98 87

# ზელენსკის გაპრეზიდენტება ამერიკას ერთი მილიარდი დოლარი დაუჯდა

## ბაიდენი ამერიკელი ბრეჟნევია, რომელსაც სხვები მართავენ



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА:*

**— ბატონო იგორ, საუბრობენ, რომ უახლოეს პერიოდში რუსეთი სამი მიმართულებით მთელ უკრაინას შეუტევს. რა მოლოდინები გაქვთ?**

— სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა — ომი გრძელდება და უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. საქმე ისაა, რომ ეს, ფაქტობრივად, ამერიკის, რუსეთისა და უკრაინის ომია. მას მე მესამე მსოფლიო ომს ვუწოდებ. რა თქმა უნდა, იკვეთება ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესები — აშშ-ისა, რომელიც ერთპოლუსიანი მმართველობის სათავეში მოქცევისთვის იბრძვის და მეორე, რუსეთის, რომელიც ცდილობს, სამყაროს მეორე პოლუსად მოევლინოს და თანამოაზრე სახელმწიფოებთან ერთად მყარად დადგეს. ორი ინტერესი ერთმანეთს შეეჯახა. აშშ-ის ინტერესი ევროპა და რუსეთია. დაახლოებით ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკამ ე.წ. ბოროტების იმპერია დაამხო. ეს პროცესი მარტივად არ მომხდარა. „საერთო გაზეთისთვის“ საინტერესო იქნება ერთი დეტალი, რაც ამ დრომდე არსად მითქვამს: 70-იან წლებში მეგობარ პროფესორთან ერთად მოსკოვში ვიმყოფებოდი, სადაც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ანდროპოვს და მისი ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს შევხვდით. ამ დეპარტამენტს ქართველი გენერალი, მეცნიერების დოქტორი ხელმძღვანელობდა. მასთან შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში შედგა. გენერალმა საიდუმლოდ გვითხრა: ჩვენ 70-იანი წლების დასაწყისში წინასწარ ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დანგრეულიყოო. მას ვინმეს ნანგრევებში მოყოლა მხედველობაში არ ჰქონია, ნებაყოფლობით დაშლას გულისხმობდა. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: სტალინმა პარტიის მე-19 ყრილობაზე გამოაცხადა, რომ ხელისუფლებას ტოვებდა — საბჭოთა კავშირის სათავეში ახალი ძალები უნდა მოვიდნენ, ცვლილებებია საჭიროო. ამას საშინელი აჟიოტაჟი მოჰყვა. ასეთ შემთხვევაში, სტალინის წასვლის შემდეგ, მის გვარდიას — მოლოტოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს და სხვებს „გაპენსიონერება“ ელოდათ. ამიტომ მათ საზოგადოების ელიტური ნაწილი შეკრიბეს და კატეგორიულად მოითხოვეს სტალინის ხელისუფლების სათავეში დარჩენა. ანდროპოვს კოსიგინთან ერთად სურდა, საბჭოთა კავშირიდან ის რესპუბლიკები ჩამოეშორებინათ, რომლებსაც კრემლი არჩენდა. მაგალითად, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და სომხეთი. დავუბრუნდეთ გენერალთან საიდუმლო შეხვედრას. მან გვითხრა: საბჭოთა კავშირი 2005 წელს დაიშლებაო. მაგრამ პროცესები დაჩქარდა, რაც აშშ-ში რეიგანის მოსვლამ განაპირობა. მან გამოაცხადა: ეს ბოროტების იმპერიაა და უნდა დავანგრიოთო. საბჭოთა კავშირი 1990 წელს დაიშალა. ამერიკამ თავისი ცენტრალური სადაზვერვო აპარატის მეშვეობით გორბაჩოვი, იაკოვლევი და შევარდნაძე „ზომბებად“ აქცია. ჯოზეფ ნაი წიგნში „რბილი ძალა“ პირდაპირ წერს: „კოლუმბიაში სწავლის პერიოდში იაკოვლევის „ვერბოვკა“ მოხდაო. ეს ის იაკოვლევია, რომელთან ერთად საბჭოთა კავშირის დაშლაში გორბაჩოვი და შევარდნაძე ირიბად მონაწილეობდნენ.

რაც შეეხება უკრაინას, ის სახელმწიფოდ 1917 წლის 25 დეკემბრის ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირი სწორედ რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ შექმნეს. დიახ, საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი ეს სამი სახელმწიფოა. საბოლოოდ, ვინც დაბადა, მანვე დაშალა. უკრაინას, თავდაპირველად, სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდა. ის არ არსებობდა. უკრაინას უზარმაზარი ტერიტორიები მოგვიანებით გადასცეს. ერთ-ერთია კიევის რუსეთი. დიახ, კიევი რუსეთს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, უკრაინამ ამ პერიოდში რამდენიმე პროვინცია მიიღო, რომლებიც მაშინ ევროპის იყო. ასეთი ექვსი პროვინცია იყო, მათ შორის, დასავლეთ უკრაინა. საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე აშშ-ს უკრაინის მიმართ ინტერესი გაუჩნდა. ევროპას ამისთვის არც ძალა ჰქონდა და არც ინიციატივა გამოუჩენია. ეს ინტერესი მსოფლიოში მდიდარმა, ძლიერმა სახელმწიფომ ამერიკამ გამოიჩინა. დაიწყო პროცესი, რათა აშშ-ს ევროპასა და აზიაში ფესვები გაედგა. აზიაში ფეხის მოკიდება მან ომით მოინდომა. გავიხსენოთ, ხიროსიმასა და ნაგასაკში რაც მოხდა. ასეთ ვითარებაში დაიწყო საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესი. აშშ-ში გრძელვადიანი პროექტი მომზადდა და მოგვიანებით კიდეც განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ელცინის რუსეთი დასავლური ორიენტაციის იყო. ელცინი ამერიკული პროექტია. ამერიკას ჯერ აღმოსავლეთში ჰქონდა იგივე სირიისა და ერაყის საკითხი მოსაგვარებელი. სწორედ ამის შემდეგ მოიცალა მან უკრაინისთვის. პროექტი შედგა, რომლის ნაწილი გახლავთ სწორედ ის ომი, რომელიც ახლა მიმდინარეობს. ამერიკას სურს, ევროპაში თავისი სატელიტი სახელმწიფო ჰყავდეს, რომელიც უაღრესად მდიდარია წიაღისეულით. ეს, ფაქტობრივად, ევროპის კარიბჭეა. აღნიშნული პროექტი თეთრ სახლში არსებობდა კენედიდან მოყოლებული, მათ შორის, ობამას და ტრამპის დროსაც. თუმცა, ეს საკმაოდ რთული გადასაწყვეტი იყო. ხელისუფლებაში ბრეჟნევის ტიპის მმართველის — ბაიდენის მოსვლის შემდეგ გადაწყდა ეს საკითხი. ბაიდენი ამერიკელი ბრეჟნევია. დიახ, ქვეყნის სათავეში მოვიდა კაცი, რომელიც თავად კი არ მართავს, არამედ მას მართავენ. ამერიკის სხვადასხვა პრეზიდენტებმა თავი საინტერესო მიმართულებებით გამოიჩინეს. ბაიდენს რითი უნდა გამოეჩინა თავი?! — მან თავი უკრაინაში ომის მომზადებით გამოიჩინა. თუმცა, ევროპის გარეშე ამერიკა ვერაფერს გააკეთებდა. ევროპულ სტრუქტურებში, გერმანიაში პოლიტიკური პროცესების აბსოლუტურად სხვა რელსებზე გადაყვანა ამერიკელების ჩარევით მოხდა. იქ მშვიდობიანი გადატრიალება მოხდა. ხელისუფლების სათავეში მკვეთრად განსხვავებული ხედვის პოლიტიკოსი მოიყვანეს, რომელსაც საგარეო პოლიტიკაში აბსოლუტურად სხვა მიზანი და ამოცანები ჰქონდა. შოლცმა საგარეო პოლიტიკა ამერიკის სასარგებლოდ სრულიად შეცვალა.

ამ ომისთვის რუსებიც ემზადებოდნენ. სხვათა შორის, ამერიკელების მიერ ზელენსკის ხელისუფლებაში მოყვანა ერთი მილიარდი დაჯდა. იგი არც თავად არის სლავი და არც ხელისუფლებაში ჰყავს სლავები. აგერ, მიშამ ადეიშვილი, არახამია და სხვა ქართველები მიუყვანა. დიახ, უკრაინის ხელისუფლებას სლავების ნაცვლად ებრაელები, ქართველები მართავენ.

რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები იყო მომზადებული, რამაც არ იმუშავა — რუსეთი უფრო გაძლიერდა. თავდაპირველად სანქციების ორსამ პაკეტზე იყო საუბარი. ახლა უკვე მეცხრე პაკეტი მზადდება, რუსეთი კი ომს ისევ აგრძელებს. სანქციების მეცხრე პაკეტი ჩვენთვისაც შეიძლება დარტყმა აღმოჩნდეს. აქ საქართველოს თემაც განიხილება. რატომ ხდება ეს ყველაფერი? — იმიტომ, რომ მათ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას ვერ მიაღწიეს. დასავლეთი ამ მიმართულებით ჩრდილოკავკასიელი ხალხის ამოძრავებისთვისაც ემზადებოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველამ ვიცით, ჩრდილოკავკასიელების რუსული რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. ოსებს არ ვგულისხმობ. თუ მეორე ფრონტს გავხსნიდით, აშშ, უკრაინის მსგავსად, იარაღს ჩვენც მოგვაწვდიდა. კავკასიის ფრონტის გახსნით რუსებს, დასავლეთის აზრით, ორ ფრონტზე ბრძოლა ძალიან გაუძნელდებოდათ. ასე უკრაინა მიიღებდა ტერიტორიებს, მათ შორის, ყირიმის ჩათვლით. ეს ვერ და არც განხორციელდებოდა. როგორც ჩანს, ბაიდენმა და მისმა გუნდმა რუსეთის პოლიტიკური ისტორია საერთოდ არ იციან. ეს არც ევროპელებმა იციან და არც ქართველმა პარლამენტარებმა. აქ რუსეთის ისტორია არც ტელევიზიის, პრესის ხელმძღვანელებმა იციან. მეტიც, ეს არ იციან ჩვენმა მკვლევარებმა, პოლიტოლოგებმა. მათ რუსეთის მიმართ ზერელე მიდგომა აქვთ. რუსეთს შენი არშინით ვერ გაზომავ. 300 წლის განმავლობაში რუსულ-მონღოლური ურთიერთობები ერთმანეთს შეერწყა. მონღოლური და რუსული პოლიტიკის ერთმანეთთან შენივთება ძალიან საინტერესოა. აქ ისიც არ იციან, რომ რუსეთმა თავის დროზე თავად გაუძლო 300 წელი მონღოლების შემოტევას. ჩინგიზ-ხანი ყველაზე ნიჭიერ მმართველად არის აღიარებული. მისი იმპერია 3-4 საუკუნე არსებობდა.



რუსეთმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მრეწველობა სამხედრო ყაიდაზე გადაიყვანა, როგორც ეს მეორე სამამულო ომის დროს გააკეთა. რუსეთში ყველგან: ციმბირში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ურალში თუ სხვაგან, მასიურად, ყოველდღიურად იარაღი მზადდება — რაკეტები, ტანკები და ა.შ. დღეს რუსეთს იმდენი საბრძოლო ტექნიკა აქვს, რამდენიც ომის დაწყებამდე არ ჰქონია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთი საოცარ იარაღს ფლობს. მას აქვს წყალქვეშა ნავები, რითაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერია. რამდენიმე მათგანი უკვე ზღვაში ჩაუშვეს. ეს იარაღი ყველაზე საშიშია, რადგან წყალქვეშ ვერავინ აკონტროლებს. მას წყლიდან შეუმჩნევლად შეუძლია ამერიკას, ბრიტანეთს მიუახლოვდეს, შედეგები კი დამანგრეველი იქნება. ასე რომ, ომი გრძელდება. მსოფლიო პოლიტიკურ კულუარებში, მათ შორის, ამერიკაში უკვე დაიწყო საუბარი მეომარი სახელმწიფოების მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომის თაობაზე.

**— ბატონო იგორ, მედვედევმა ნატოს შეახსენა: ბირთვული სახელმწიფო ვართო...**

— როცა ვირთხას კუთხეში მიიმწყვდევ, წინააღმდეგობას გიწევს, იცის, რომ უნდა მოკვდეს და შენც ზიანს გაყენებს. თუ რუსეთს — ამ უზარმაზარ ქვეყანას თავისი მრეწველობითა და დიდი პოტენციალით კუთხეში კედელთან მიაყენებენ, მაშინ ის, ბუნებრივია, თავის დაცვის მიზნით ყველაფერზე წავა. რუსეთი არსებობისთვის, პრესტიჟის შენარჩუნებისთვის იბრძვის, ამიტომ მისთვის არავითარი დათმობა არ არსებობს. ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. ბუნებრივია, თუ მოსკოვი „გადახურულია“, მას შეიძლება ვერაფერი უქნან, მაგრამ ყველა ქალაქი ხომ არ არის „გადახურული“. კი ბატონო, რუსეთს დარტყმა მი-

7 გვ.



# „ლიბერალური ჭანჭიკი“ – „ნაცმოძრაობა“ დასასრულს უახლოვდება



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, კვირის ბოლოს „ნაცმოძრაობის“ რიგგარეშე არჩევნებია. პარტია ერთხელ უკვე გაიხლიჩა, როცა მას „ევროპული საქართველო“ გამოეყო. რა მოლოდინი გაქვთ, ამჯერად, ვის დარჩება „ნაციონალური მოძრაობა“?**

— „ნაცმოძრაობაში“ სიმბოლური, იმედისმომცემი პროცესი მიმდინარეობს. ამას გლობალურ ჭრილში განვიხილავ და ვფიქრობ, ნაცებსაც ზუსტად ის ემართებათ, რაც მთელ მსოფლიოში გაბატონებულ იმ ძალას, რომლის ჭანჭიკიც „ნაცმოძრაობაა“. ანუ, მიმდინარეობს ნეოლიბერალური მმართველობის დაშლა, რომელიც მსოფლიოს სხეულს როგორც სარკომა, ავთვისებიანი დაავადება ისე ჭამს. დიახ, სარკომა იშლება მსოფლიო მასშტაბითაც და საქართველოში მისი პატარა მაკეტის, „ნაცმოძრაობის“ სახითაც. ასე რომ, ამას არჩევნებს ვერ ვუწოდებ. რეალურად, ეს ლიბერალური ჭანჭიკის დაშლის დასრულია, რასაც მივესალმები. ჯერ ერთი, ასეთი გაუკუღმართებული აზროვნების ძალას, პოლიტიკურს ვერ ვუწოდებ. მეორეც, ქართული, კავკასიური რეალობისთვის „ნაცმოძრაობა“ აბსოლუტურად ამოვარდნილია ჩვენი მენტალობიდან, მრწამსიდან, თვითმყოფადობიდან. ამ პარტიამ საქართველოს სხეულს ძალიან სერიოზული ზიანი მიაყენა. ახლა ჩვენი ფიქრები ნაცებისკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ, როგორ აღვადგინოთ, გამოვაჯანმრთელოთ ქართული სხეული ამ მავნე დაავადების ჩამოშორების შემდეგ. დიახ, ეს არჩევნები კი არა, უკვე დასასრულია. ახლა საქართველოში სწორედ ნეოლიბერალური ჭანჭიკის ჩამოშლის მომსწრენი ვართ.



**— ქართველი „ლიბერალები“ საკუთარ თავს ილიასთან აიგივებენ. ილიას ტრიადა: ენა, მამული, სარწმუნოება და მათი ღირებულებები ერთი და იგივეა?**

— ამ „ლიბერალებმა“ ქართულ ეროვნულ სხეულს სულიერი, ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენეს. მე მართლა შინაგანად ლიბერალი ვარ. დიახ, ჩემი დიდი წინაპარი, ილია ჭავჭავაძე ლიბერალი იყო. მაგრამ ეს ფაშისტები როგორი ლიბერალები არიან?! ნეობოლშევიკებსაც კი არ გაუკეთებიათ ის, რასაც ესენი აკეთებენ. რა კავშირშია მათთან ლიბერალიზმი?! მათ ლიბერალიზმის სახელით ყველაფრის გაუფასურება, გადაგვარება, დამახინჯება მოინდომეს. ნაცები პოლიტიკიდან რომ გადაშენდებიან, ქვეყანა ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, დაიწყება ფიქრი იმ ლიბერალური პრინციპების დამკვიდრებისთვის, რასაც ილია ემსახურებოდა — ენა, მამული, სარწმუნოება. ქვეყანა იმ იდეოლოგიას დაუბრუნდება, რაც ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენას, მამულის ერთიანობას, სიყვარულს და ენის პატივისცემას ეფუძნება. ხედავთ, დღეს რა ხდება, როგორი უპატივცემულო დამოკიდებულებაა ყველაფერი ქართულის მიმართ?! თუნდაც, როგორ დააბინძურეს ენა. რუსული კალკების გამოყენებაზე იყო ერთი ამბავი ატეხილი და შეხედეთ, ერთი, რა ენაზე ლაპარაკობენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, რა სიტყვებს იყენებენ. ქართული ენა აბსოლუტურად გაუგებარი გახდა. ლექსიკონი თუ არ გაქვს, შინაარსს ვერ გაიგებ, რას ბოდავენ ან პოლიტიკოსები, ან ჟურნალისტები. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რას დაამსგავსეს ქართული დროშა. პირდაპირ ვამბობ: საერთოდ არ მინდა, ეს საქართველოს დროშა იყოს, რადგან ფაშისტური გერმანიის მსგავსად, დღევანდელ საქართველოში ერთადერთი შემთხვევაა, როცა პარტიის დროშა სახელმწიფო დროშად იქცა. მიუხედავად ამისა, დღეს ის ქართული სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენს. მაგრამ შეხედეთ, რა ფერებში გადაღებნეს! კი ბატონო, უკრაინელი ხალხი ძალიან მეცოდება, ზელენსკიზე მეტადაც კი, მაგრამ რას ნიშნავს ჩემი დროშის უკრაინის დროშის ფერებში გადაღებვა?! ბუბა კიკაბიძე გარდაიცვალა და საქართველოს დროშაზე უკრაინის დროშა გადააფარეს!!! რას ჰგავს ეს?! განა შეიძლება ასეთი უღირსი მოპყრობა ერის, ქვეყნის სახელმწიფოებრიობასთან, სიმბოლოსთან. რატომ ტოვებს ხელისუფლება ამ ფაქტს დაუსჯელს?! ადამიანები, ქუჩაში გადაღებილი დროშებით რომ დარბიან, კანონით არ უნდა ისჯებოდნენ?! ხომ არსებობს კანონი, რომელიც სიმბოლოს გაბიაბრუებას, დამახინჯებას სჯის?! დიახ, სახელმწიფო სიმბოლოს რომ ეხები, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგო. ვიმეორებ, ჩემთვის მისაღები არ არის, პარტიის დროშა სახელმწიფო დროშად იქცეს. ეს მიუღებელია, რადგან ფაშიზმს მაგონებს და არ მომწონს. დედამიწაზე ასეთი პრაქტიკა სხვა არ არსებობს — ერთი ფაშიზმი იყო და მეორე — ეს.

**— ქალბატონო ნანა, რას გვეტყვით კელი დეგნანის განცხადებაზე: საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენების აღდგენაზე მეტად ქართველებს რუსეთის მიერ საქართველოდან ჯარების გაყვანა გაუხარდებათო.**

— რა გითხრათ, გაოგნებული ვარ. ვერ გამიგია, კელი დეგნანი აშშ-ის ელჩია თუ საქართველოს დირექტორი. რატომ საუბრობს უკვე მერამდენედ ქართველი ხალხის სახელით?! მან, რატომღაც, რუსეთის მხრიდან საქართველოში პირდაპირი რეისების აღდგენა ქვეყნის დეოკუპაციას დაუკავშირა. რა კავშირშია ეს ყველაფერი? შეგახსენებთ, რომ პირდაპირი რეისები რუსეთმა 2019 წელს გავრილოვის მიმართ გამოჩენილი პოზიციის საპასუხოდ აკრძალა. ეს ჩვენი მოქალაქეების ინტერესების საზიანო გადაწყვეტილება იყო. თუკი დღეს რუსეთი თავად გვიხსნის მის მიერვე დაწესებულ სანქციას, ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი? კელი დეგნანის შეხსენების გარეშეც ვიცით, რომ საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებულია. მინიშნება იმაზე, რომ დეოკუპაციის მიღწევამდე ფრენების აღდგენაზე, ეკონომიკის, კულტურის განვითარებასა და საკუთარი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ნაადრევია, ეს რაღაც ახალია. ეს ერთი შეხედვით ჯანსაღ ლოგიკას მოკლებულია და არაკეთილმოსურნის უხეშ ჩარევად გამოიყურება. ელჩის ამ არაკორექტულ, არადიპლომატიურ და, რაც მთავარია, საქართველოს ინტერესების საზიანო რჩევას მყისიერად გამოეხმაურნენ საქართველოში უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი კოლექტიური ნაცები. ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნის ელჩის ჩარევის გამო უხერხულობა ეგრძნოთ, განაცხადეს: ხომ ხედავთ, საქართველოს ხელისუფლება ისე გათავხედდა, „მთავარი სტრატეგიული პარტნიორი“ გაანაწყენაო. ელჩი, პირიქით, გვეუბნება: თქვენ წითელი ხაზები გადალახეთო. აშკარაა, რომ ნაცები ჩვენს ქვეყანაში საქართველოს დირექტორად მართლა კელი დეგნანს აღიქვამენ, რითაც ჩანს, როგორ ესმით „დამოუკიდებლობა და თავისუფლება“. მინდა გითხრათ, რომ სწორედ ელჩმა გადალახა წითელი ხაზები, თითი დაგვიქნია და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება უკვე მერამდენედ მოგვთხოვა. რაც შეეხება პირდაპირ რეისებს რუსეთთან, საქართველოს ხელისუფლებას არასდროს აუკრძალავს, ყოველთვის პირიქით იყო, სავიზო შეზღუდვებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს რუსებმა ცალმხრივად დაგვიწესეს. საზღვარზე სააკაშვილი პირადად დემონსტრაციულად ხვდებოდა რუსებს კეთილგანწყობის გამოსახატად, თანაც ქვეყანაში ეპატიჟებოდა. გასაგებია, რომ უმთავრესი მიზანი დეოკუპაციაა. ამ პრობლემის მოგვარებაში ეფექტურ დახმარებას სწორედ სტრატეგიული პარტნიორისგან ველოდით, თუმცა მოლოდინი მოლოდინად რჩება.



**— ნაცებს დავუბრუნდეთ. მელიამ ინტერვიუში განაცხადა, რომ მერაბიშვილი ფარულ ჩანაწერებს აგროვებს და ავრცელებს. ვადამდელი არჩევნების დანიშვნასაც მან შეუწყო ხელიო. „ორი გვამის“ ავტორის პოლიტიკაში შემოსვლა რამდენად ჯანსაღი პროცესი იქნება?**

— რა თამაშს თამაშობენ მერაბიშვილი ან მელია, ამაზე საუბარს დღეს აზრი არ აქვს. ყველაფერი მალე გაირკვევა. ორივე მათგანზე ერთ შეფასებას გავაკეთებ: ისინი მონები, ჭანჭიკები არიან, რომლებიც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. მერაბიშვილმა განაცხადა: „ვარდების რევოლუციას“ გავიმეორებთო. ეს მხოლოდ სიტყვებია. კარგად ვიცი, იგი რა „ბაგაჟის“ პატრონია, მაგრამ არც ისეთი შტერია, ვერ იაზრებდეს — რაც სააკაშვილმა ვერ შეძლო, იმას ხაბეიშვილი როგორ მოახერხებს!

**— დღეს პოლიტპატიმრებს ეძახიან სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიას, გვარამიას... ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ ზოგი „პიჯაკების საქმეზე“ გასამართლდა, ზოგიც — „ვაშლის გათლაზე“ და ა.შ.?**

— ეს მიზანმიმართულად კეთდება. ამით ძირითად დარტყმას საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრების როლსა და მნიშვნელობას აყენებენ. მერაბ კოსტავას გვერდით როგორ შეიძლება მერაბიშვილი ან სააკაშვილი პოლიტპატიმრად მოიხსენიო!!! მიშას პოლიტპატიმარს რომ ეძახი, ამით ხომ საბჭოთა პოლიტპატიმრებს აკნინებ! დიახ, ეს იმიტომ ხდება, რომ საბჭოთა პერიოდის, ამ, ქვეყანაზე მოფიქრალ ხალხს, რომლებიც სამშობლოსთვის თავს სწირავდნენ, ჩრდილი მიაყენონ. ვის აჯერებენ, რომ ეს გამოუსწორებელი კრიმინალები, გამაუპატიურებლების პარტიის წარმომადგენლები, ამ სტატუსთან რაიმე კავშირში არიან?!

**— მიშას წამებაზე საერთაშორისო პრესაც წერს. სიდნეის გაზეთმა დაბეჭდა: 923-ე დღეა სააკაშვილს კლავენო. „ნიუ-იორკ თაიმსში“ კი საქართველო აგრესორის დამხმარედ მოიხსენიეს.**

— ეს ყოველივე, იცით, რას ემსახურება? — ამ ძალებს ნამდვილად სურდათ, საქართველოში მეორე ფრონტი გახსნილიყო. ხელისუფლება ამბობს, რომ დასავლეთს აქ მეორე ფრონტის გახსნა უნდა, მაგრამ არ აკონკრეტებს: რით არის ეს სურვილი განპირობებული. უკრაინას თავი დავანებოთ. ის პოლიტიკური მოთამაშე არ არის. როცა აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მეორე ფრონტის გახსნას უკრაინული მხარე მოითხოვს, ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა და დაბნეულობას იწვევს. როდესაც ჩვენ გლობალურ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, სწორედ გლობალურ მოთამაშეებზე — რუსეთსა და ამერიკაზე უნდა ვილაპარაკოთ. ამიტომ პირდაპირ უნდა ვთქვათ: ერთ გლობალურ მოთამაშეს მეორისთვის ნიღბის ჩამოხსნა სურდა. განა აშშ მართლა ფიქრობს, რომ 3-მილიონიანი ერი 140-მილიონიანი ერის დამარცხებას შეძლებს?! ასე ხომ გაგვჟლეტენ და ამოგვჟუჟავენ. საქართველოს ჭეშმარიტად ღვთისშობელი იფარავს. სულაც დედაბუდიანად რომ გავწყდეთ, განა რუსეთს რაიმეს დავაკლებთ?! ან ეს არ იცის აშშ-მ?! ეს წარსული არ გახლავთ, არამედ დღევანდელობაა. ამერიკას და დასავლეთს ახლაც სურთ, რომ საქართველომ მეორე ფრონტი გახსნას. დიახ, მათ ჩვენი მსხვერპლად შეწირვა სურთ, რათა რუსეთი მსოფლიოს თვალში კიდევ უფრო ამაზრზენად, სასტიკად წარმოაჩინონ. აი, ამიტომ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ერს — ქართველებს ანადგურებენ. სწორედ ამიტომ ვუპირისპირდები იმ ძალას. როგორ შეიძლება, თავში ასეთი ბოროტება მოგივიდეს, რომ ძირძ-

7 გვ. →

# მადამ, ადრინდელ თავმომწონე ქალს ცოცხზე გადასაჯდომად გამზადებული გაჩხიკული დეგნანი გაჩოქებთ, თუ პირდაპირ „მძინარე ჯო“? ფრთხილად!




„სამწუხაროდ, პრეზიდენტის ნაცვლად ხელში შეგვრჩა ამერიკის ელჩის თანაშემწე, უცხო ქვეყნების ინტერესების მსახური ბიუროკრატი. ნაცვლად იმისა, რომ ქართული საზოგადოების უდიდესი ძალისხმევის ხარჯზე არჩეული პრეზიდენტი ეროვნულ ინტერესებს იცავდეს, ის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს განაგრძობს.

საგანგაშოა, როდესაც მთავარსარდალი, პირდაპირი წესით არჩეული უმაღლესი თანამდებობის პირი, საკუთარ ქვეყანას უსაფუძვლო ბრალდებას უყენებს (სანქციების გვერდის ავლაში დახმარება) და თანაც მტკიცების ტვირთს მთავრობას აკისრებს. ეს ხომ ნაცმოძრაობის სტილია - მე დაგაბრალებ, შენ კი თავი იმართლე და ამტკიცე ის, რაც ბუნებაში არ მომხდარა. რა მოვთხოვოთ გონჩარენკოს, ფოტიგას ან იან კელის, როდესაც ჩვენივე პრეზიდენტი გვევლინება ანტიქართული კამპანიის ავანგარდში?!

რისკენ მოგვიწოდებს ქალბატონი პრეზიდენტი - უკრაინის მიმართ სოლიდარობა საკუთარი მოსახლეობის და ქვეყნის დაზიანებით გამოვხატოთ?!

ყველამ ვნახეთ, რა შედეგი მოუტანა 2019 წელს “გავრილოვის” წინასწარ დაგეგმილმა პროვოკაციამ ჩვენს ქვეყანას. როგორ დააზიანა ეკონომიკის ის სფეროები, სადაც უამრავი ჩვენი მოქალაქეა დასაქმებული და საიდანაც არა მარტო ბიზნესელიტა, არამედ ათიათასობით ქართული ოჯახი იღებდა შემოსავალს.

ქალბატონო (პ)რეზიდენტო, იქნებ დაინტერესდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნების დღემდე არსებული სავაჭრო ურთიერთობებით რუსეთთან, პირდაპირ თუ სხვა გზებით! საკუთარი ხალხის და სახელმწიფოს დამუნათებამდე, იქნებ იმ კონკრეტული პროდუქტების ჩამონათვალი გენახათ, რასაც აშშ რუსეთიდან დღემდე ყიდულობს!

ან იქნებ თქვენი კოლეგა კასიანოვისთვის გეკითხათ, რატომ მიმართმა უკრაინამ ევროკავშირს, რომ ბელარუსზე სანქციები არ გავრცელებულიყო?!

თქვენ ამ სიყალბეს უნდა ებრძოდეთ ქართველ ხალხთან ერთად და არა პირიქით - სიყალბით ებრძოდეთ საკუთარ სახელმწიფოს!“ - წერს ვატო შაქარიშვილი **Facebook**-ზე.

მადამ, მხოლოდ ეს ერთი კაცი არა, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობაა განრისხებული თქვენზე!

ეს რას ბედავთ, თავი მართლაც ხალხის არჩეული პრეზიდენტი ხომ არ გგონიათ?!

რა ხდება თქვენს თავს, ჯადო ჩაგისხათ კელი დეგნანმა ლობიოში თუ რა გჭირთ?

ვატო შაქარიშვილმა, ფაქტობრივად, ყველას სათქმელი კულტურულად ჩაატია მოკლედ ნათქვამში, მაგრამ ხალხს პირს ვერ აუკრავ — ოდნავ მაინც არ გრცხვენიათ?

შედარებით მსუბუქ კომენტარებს დაგიდებთ:

„წუნკალა დედაკაცი! ხმა ჩაიგდე! მოღალატე ხარ ქართველი ხალხის!“

„ეს როგორი დიპლომატი ან პოლიტიკოსია და, მით უმეტეს, პრეზიდენტი. ძალიან სამწუხაროა და გასაკვირველია!“

„კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამას ქვეყნის ბედი არ ადარდებს!“

„შენ რა გენაღვლება იქ მცხოვრები მილიონი ქართველი და ჩვენი ოჯახის წევრები...“

„ამან უკვე შეგვაძულა თავი ყველას!“

„ამის წამალია იმპიჩმენტი!“

„როგორ შემძულდა ეს ჯორქალა...“

„შენ ვინც ხმა მოგცა, ის ხალხი მოგიღებს ბოლოს!“

„ეს როდის მიეთრევა?“

„არ მიესალმო, დაემშვიდობე...“

„ეს იმიტომ ატლიკინდა კიდევ ერთხელ ხალხის აზრის საწინააღმდეგოდ, რომ მაშინ არ გამოვათრიეთ თმებით, როცა თავს დაგვესხა და სამჯერ მოგვაძახა, „აქ რას მომივარდითო!“

მადამ, ეს რა განწყობა შეუქმენით თქვენს ამომრჩეველს, რა სახის დიპლომატი ხართ, სად ისწავლეთ ასეთი დიპლომატია, ვინ მოგყიდათ დიპლომატის დიპლომი...

აქ რას მომივარდითო?! — ასე დაიწყეთ თავსგასვლა და წააწყეთ ერთმანეთს სისულელეების როშვა, ამიტომ თქვენივე ენით გჭირდებათ ახსნა-განმარტება თქვენს დაუსრულებელ თავგასულობაზე.

ამბობენ, მადამ პრეზიდენტი „ოცნებაზე“ გაბუტულია და ამიტომ გაგვინაწყენდა ხალხსო. კი მაგრამ, ხალხი „ოცნება“ ხომ არ ვართ, ის „ხმები“ ვართ, ვინც „მადამი“ გააპრეზიდენტა და არა ის ბრბო თუ ხროვა, რადაც წარმოვუდგენივართ. კიდევ ერთხელ გვეწყინა ძალიან!

ხევსურს ახალი მოყვანილი ჰყავს ცოლი და ცხენით მიდიან. უცბად ცხენმა წაიფორთხილა. ხევსურმა ცხენს დასძახა: ერთი! განაგრძეს გზა. ცოტა ხანში ისევ წაიფორთხილა. ორი! — დასძახა ხევსურმა. არ გასულა დიდი დრო და ისევ წაიფორთხილა. იშიშვლა ხმალი ხევსურმა და თავი წააცალა ცხენს. ვაიმე, ეს რა ჰქენიო, — შეიცხადა ახალმა პატარძალმა. მიუტრიალდა ხევსური და დასჭექა: ერთი!

გაიგეთ რამე? — გაიგეთ, მაგრამ დეგნანს უნდა ჰკითხოთ, გაიგეთ თუ ვერა...

არსებობს საზოგადოების მიერ მონიშნული და დადგენილი საზღვრები, რის მიღმა ფეხის გადადგმისა კი არა, რასთან მიახლოებისაც კი უნდა ეშინოდეს პრეზიდენტს!

როგორც ბევრი სხვა, „ოცნებაც“ წავა, თქვენც წახვალთ, მადამ პრეზიდენტო, მაგრამ ჩვენ, ხალხი, საქართველოს მოქალაქეები მუდამ დავრჩებით და გადავწყვეტთ, ვინ მოვიდეს და ვინ წავიდეს; ჩვენ, ხალხი გადავწყვეტთ, ვის რა სახელი და ღირსება დავადევნოთ... ჩვენ „ბრწყინვლე“ მეფეც გვყავდა და „ზაქიჭამიაც“...

„კაცი“ არა მხოლოდ სქესის აღმნიშვნელი, ზოგადი ცნებაცაა ქართულში — ჰოდა, ქართველმა კაცმა თავისი გადაფურთხებული როგორ უნდა ალოკოს?

„არა და არასოდეს!“ — ეს ის მოკლედ ნათქვამი სიტყვა იყო ქალი პრეზიდენტისგან, ვაჟკაცური რომ ჰქვია და რაო, მადამ, ადრინდელ თავმომწონე ქალს ცოცხზე გადასაჯდომად გამზადებული გაჩხიკული დეგნანი გაჩოქებთ თუ კუანა ბაიდენი?

თქვენ და დეგნანს ველარ განსხვავებენ ნამდვილი ქართველები. იმ „გასილაქებულმა ხვლიკმა“ დაგვამუნათა, ქართველებმა საქართველოს ისტორია გაიხსენეთო.

მადამ, დაგცინიან ქართველები!

დეგნანს რა ენაღვლება, წარმოდგენა არ აქვს, რა ეროვნებისაა, „ფესვი“ მხოლოდ ყვავილისა გაუგია, თქვენ, მადამ?

„მართალია, სად იყო რუსეთი, როდესაც ოსმალეთს ახალციხე-ახალქალაქი გამოჰგლიჯა და ქართველებს დაგვიბრუნა ჯონ ტრავოლტას საარტილერიო ბატალიონმა?

ან ნიკოლას ქეიჯის კავალერია როგორი შტურმით ეკვეთა ბათუმს — იქნებ, გავიხსენოთ.

რაღაც, მოკლე მახსოვრობა დაგვჩემდა ქართველებს და ლეკები კახეთს რომ აწიოკებდნენ, ეს არ გვახსოვს, არა? გენერალი არნოლდ შვარცენეგერი სპარსელებს და ლეკებს ერთიანად დაერია, არ გვაწყობს ამის გახსენება, „პრორუსებო“, ხომ?

საქართველოსთვის შეწირული რამდენი უსახელო რიგითი ამერიკელი მიებარა სამუდამოდ ქართულ მიწას... იქნებოდნენ ისინი სმიტები, რემბოები, ვან დამები, კიანუ რივზები — ვინ მოსთვლის და ვინ იცის მათი ვინაობა.

მოუნდათ მოსკოვში ფრენა და ნიუ-იორკში რომ სპეციალურად ქართველებს უვიზო მიმოსვლა დაგვინიშნეს გრინგოებმა, ამის დანახვაც არ გვინდა.

ვერ ხედავთ რომ „შევროლეტის“, „ფორდის“, „მაიკროსოფტის“ ქარხნები გუგუნებს საქართველოში?

რომ არა ამერიკელები, რკინიგზა, პორტები, ჰიდროჰესები, სკოლები, უნივერსიტეტები, საავადმყოფოები და ა.შ. გვექნებოდა?



უმადური „გრუზინები“, მასკვა მოგინდათ, არა?“

ნაცვლად იმისა, რომ თქვენი პრეზიდენტად მქცეველი ხალხი თქვენი საყრდენი იყოს, გვეტევებით და გვიწვევთ?

ნაცვლად მარტივი პასუხისა ვიღაც გადამთიელებთან: მე, ქვეყნის უმაღლესი პირი, ვინც უნდა მომთხოვოს, ვერც კანონს გადავახტები და ვერც ჩემი ქვეყნისთვის საზიანო გარიგებაზე წავალო, ხან გაიძახით: აქ რას მომივარდითო, ხან — იმ მილიონი ქართველის დედაც ვატირე, ვინც რუსეთში შოულობს ლუკმაპურს და აქეთაც აპურებსო...

მადამ პრეზიდენტო, მიზნად რომ შლეგი სააკაშვილის გათავისუფლება გაქვთ დავალებული მბრძანებელი დეგნანისგან, ირინე ენუქიძის თვალები რამ დაგავიწყათ, ორბელიანის სასახლის მინები გაგივარდისფრდათ?“ — უამრავი თავის დასაძვრენი სიტყვა მოგეძევებათ...

მადამ, მინდა 2009 წელი გაგახსენოთ, მაგრამ რას გაიხსენებთ, თავი პრეზიდენტი გგონიათ, არადა, დეგნანის უსიტყვო მონა ხართ...

თქვენ, მაშინ ჯერ კიდევ უბრალოდ სალომე ზურაბიშვილი, „ქაჯების რისხვა“, „ფაჩიკოს გარმონში“ იყავით იმდროინდელ ოპოზიციონერებთან ერთად, მაგრამ რაც შეიტანეთ, ისევე ის გამოიტანეთ — თქვენთან ჩვენ რომ „მოვვარდით“, რა გამოგვატანეთ, დაფიქრდით მაინც თუ მთლად კრუასანზე ჩამოიკიდეთ?

ან ახლა რომ ამბობთ, არ მივესალმები რუსეთთან ფრენების აღდგენასო — ვინმემ რამე გკითხათ? რა თქვენი საქმეა, საით რა ფრენა დაიგეგმება, ეგ ხომ თქვენი საქმე არ არის. რას ასავსავებთ ენას ასპიტივით, რატომ იწვევთ ხალხს?

გავა დრო და მემატიანე დაწერს, თბილისის შსს-ის, ანუ „ფაჩიკოს გარმონის“ ადგილზე, ვერსალის მსგავსად, ძველად სოფელი იყო, სადაც ლილოს, ლოჭინის და მარტყოფის მცხოვრებლები ძროხებს აძოვებდნენ, მაგრამ ლუდოვიკო XIII-ის მგავსად, რომელმაც სოფელ ვერსალში დიდებული არქიტექტურული ანსამბლი შექმნა და საფრანგეთის მეფეთა რეზიდენციად აქცია, საქართველოშიც, საძოვარზე დაღვარჭნილი შსს-ის არიტექტურული შედევრი პრეზიდენტმა მიხეილმა რანდევუების ცენტრად აქციაო. იმ დროს ამ ცენტრში რიგითი ოპოზიციონერის რანგში იმყოფებოდა საქართველოს მომავალი ქალი- პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიცო — სასაცილოა? სულაც არა, პირიქით, სატირალია, რადგან იმ სალომეს დაა-

11 გვ.

# ნაცები „საქართველოს დირექტორად“ კელი დეგნანს მიიჩნევენ




5 გვ.

ველი ისტორიის, ესოდენ დიდი ტრადიციების ერს, რომელმაც თავის დროზე მსოფლიო შეცვალა, თუნდაც იმით, რომ სტალინის ხელით ფაშიზმი დაამარცხა, მოსასპობად იმეტებდე. კულტურული თვალსაზრისით რა წვლილი აქვს საქართველოს, ეს კიდევ ცალკე თემაა. თუ მართლა ბინძური, კრიმინალური ძალა არ ხარ, როგორ შეიძლება, თავში აზრად მოგივიდეს, ერი ამოჟუჟო მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა! ვინც ამ საუკუნეების განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ მიხვდა, რას წარმოადგენს რუსეთი, ჩვენი მსხვერპლშეწირვით აეხილება თვალი?! ეს სატანური მსხვერპლშეწირვაა. დიახ, ჩვენი მსხვერპლად შეწირვის საკითხი დღესაც აქტუალურია. ამით რუსეთს მორალური ზიანი მიადგება, სამაგიეროდ, ქართველი ერი გაქრება! სამმილიონიანი ერი შეიარაღდება და მონსტრს დაუპირისპირდება? დასავლეთს სურს, რუსეთი მორალურად შეარყიოს და თქვას: აი, როგორი ბარბაროსი დამპყრობელიაო.

**— აქ კი პოლიტიკოსები, რომლებიც ზოგი პირდაპირ რუსეთიდან ფინანსდება, ზოგიც მას უკანალის მიშვერით ებრძვის, ხელისუფლებაზე გაიძახიან: რუსეთისკენ მიგვაქანებსო.**

— ეს პოლიტიკა კი არა, ავადმყოფობაა. ჩვენ არ გვყავს ისეთი მეზობელი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები მიტაცებული არ აქვს. მაგრამ ჩვენ დღევანდელი რეალობიდან უნდა ამოვიდეთ. დღეს ის ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის არის საჭირო. თუნდაც ის, რომ დამპყრობელთან პოლიტიკური ურთიერთობა გქონდეს, თუკი ეს ქვეყნისთვის სარგებლის მომტანი იქნება. პოლიტიკაში არ არსებობს მეგობრობა, სიყვარული, ნათესაობა, არამედ არსებობს მხოლოდ ინტერესები. ჩვენს ინტერესში რაც შედის, იმის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ. თუ საქმეს სჭირდება, მათთან უნდა ვითანამშრომლოთ. ასე თუ მიდგა საქმე, მაშინ თურქეთთან რატომ ვთანამშრომლობთ გინდ ეკონომიკური და გინდაც პოლიტიკური კუთხით. თურქეთს საქართველოს 2/3 დაპყრობილი აქვს, მაგრამ ხომ ვთანამშრომლობთ მასთან. თუ საქართველოს ინტერესებშია რუსეთთან თანამშრომლობა და ამით ტერიტორიების დაბრუნების საკითხი წყდება, აბა, სხვა როგორ უნდა მოიქცე?! 30 წელია, ჟენევის მოლაპარაკების მაგიდის ირგვლივ ვტრიალებთ და შედეგი რა არის? — იწევს და იწევს საქართველოსკენ საზღვარი — მავთულხლართები, ლამის არის, პარლამენტამდე მოვიდეს. რა არის ამის შეჩერების მექანიზმი? დასავლეთში, რომელიღაც ევროპულ ქვეყნებში შეშფოთებულ ტონალობაში გაკეთებული განცხადებები?! ეს შეაჩერებს ბორდერიზაციას?! 30 წელია, ვხედავთ, რომ შეშფოთებები და მსგავსი მექანიზმები არ ჭრის, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ სხვა საშუალებები? როგორ შეიძლება, საზოგადოება ასე დააზომბო. ამ საკითხში, გარკვეულწილად, „ქართულ ოცნებასაც“ ვამტყუნებ. განა რა გახდა ერთი ტელევიზიის გაკეთება, რომელიც საზოგადოებას სრულფასოვან ინფორმაციას მიაწვდის. ტელევიზიას ვინღა დაეძებს, ორი ჟურნალისტი ვერ მოძებნეს, რომელიც ტელეეთერში დაჯდება და ნორმალური ანალიზის გაკეთების, კითხვის დასმის უნარი ექნება. ტელეჟურნალისტები იმასაც კი ვერ ახერხებენ, რომ რესპონდენტისგან ინფორმაცია მოიპოვონ და ეს მსმენელს სათანადოდ მიაწოდონ! ათი წლის განმავლობაში ორი ჟურნალისტი როგორ ვერ გაზარდეს? გაუშვან ვინმე ამერიკაში, ევროპაში და ასწავლონ კითხვის დასმა და ის, რომ გაცემული პასუხის გაგება შეძლონ. ტელეჟურნალისტი კითხვას დასვამს და პასუხიდან აზრი ვერ გამოაქვს. რაც მთავარია, ჟურნალისტი ვერ ხვდება, რა აჯაფსანდალთან აქვს საქმე. ამ დროს ოპოზიცია დროს არ კარგავს — არასამთავრობოების გაზრდასაც ახერხებს და მედიის მონოპოლიზებასაც. ის ამისთვის იბრძვის და აკეთებს კიდეც. ჩვენ კი საქმის კეთების ნაცვლად ოპოზიციას ვეუბნებით: კარგი იარაღი რატომ გამოიგონეო. მან ენ-ჯი-ოები რომ გადაიბირა, შენ რა გააკეთე ამ დროს?! ტყუილს ვამბობ რამეს? მაპატიეთ, ასეთი აღელვება. შეგიძლიათ, დამისახელოთ ტელევიზიაში ორი ჟურნალისტი, რომელიც ღირებულია და თავისი საქმე ესმის?! აქამდე ხმას არ ვიღებდი „ქართული ოცნების“ შეცდომებზე, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა ითქვას. ნაცების ჩამოშლას ველოდებოდი. ეს პროცესი უკვე დასრულებულად მიმაჩნია, ამიტომ „ქართული ოცნების“ მიმართ ახლა მეტად მომთხოვნი ვიქნები. პოლიტიკოსებსაც მეტი აქტიურობა მართებთ. ირაკლი კობახიძე მომავლის პოლიტიკოსად მესახება. ახლა 21-ე საუკუნეა და საჭიროა, „ქართულმა ოცნებამ“ მეტი რეალური პოლიტიკა შექმნას და მმართველობა ხელში აიღოს. ამისთვის საკმარისი ფული არის. ზოგჯერ მიკვირს, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, როგორ ახერხებს ჩვენი საზოგადოება, რომ სწორ არჩევანს აკეთებს და უფსკრულში არ ვიჩეხებით. „ნაცმოძრაობის“ დასრულებას აღარაფერი უკლია და იმედია, ამის მერე ქვეყანა კალაპოტში ჩადგება და აღმშენებლობას, წინსვლას განაგრძობს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ზელენსკის გაპრეზიდენტება ამერიკას ერთი მილიარდი დოლარი დაუჯდა

4 გვ.

ადგება, მაგრამ იგივე მოხდება ევროპისა და აშშ-ის შემთხვევაშიც. რუსეთმა ევროპის მიმართულებით წყალბადის ატომური ბომბი თუ გამოიყენა, მისი დამანგრეველი ეფექტი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე ხიროსიმასა და ნაგასაკის შემთხვევაში. ეს, პირველ რიგში, ევროპისთვის იქნება კატასტროფა. ამას კარგად გრძნობენ ევროპული სახელმწიფოები, მათ შორის, უნგრეთი, ესპანეთი და სხვები. ეს კავკასიისთვისაც უზარმაზარი დანაკლისი იქნება. უკრაინასა და საქართველოს შორის პირდაპირი მანძილი 1000-1500 კილომეტრია. დასავლეთ საქართველოდან, მარტვილიდან კიევში მანქანით ვიმგზავრე, სულ რაღაც 2000 კილომეტრი დავფარე. პირდაპირი ხაზი უფრო ნაკლებია. მოსკოვთან პირდაპირი ხაზი 2000 კილომეტრია. ამიტომ მეტი დაფიქრება და ვითარების სწორად გაანალიზებაა საჭირო.

**— რას იტყვით ლავროვის განცხადებაზე: საქართველო დასავლეთიდან რუსეთისთვის სანქციების დაწესების კუთხით ზეწოლას განიცდისო? ჩვენმა ოპოზიციამ მაშინვე აქცენტი შემდეგზე გააკეთა: აი, ხომ გეუბნებოდით, რუსული მთავრობა გვყავსო.**

— საინტერესო შეკითხვაა. ჩვენი პოლიტიკოსები ვერ არჩევენ, რა არის დიპლომატია. ლავროვი, ბუნებრივია, სწორედ იმას ახმოვანებს, რაც რეალურად ხდება. დააკვირდით, საქართველოსთან მიმართებით ამერიკის ელჩის და სხვათა გამონათქვამებს. ისინი პირდაპირ არ ამბობენ: ჩვენ ვითხოვთ, საქართველომ მეორე ფრონტი გახსნას და ომი დაიწყოსო. ბუნებრივია, დიპლომატები არიან და ამას ასე ღიად არ გვაჯახებენ. თუმცა მათი გამონათქვამების ხაზი სწორედ ამისკენაა მიმართული. დიახ, მათ მეორე ფრონტის გახსნა სურთ, რათა უკრაინას მდგომარეობა შეუმსუბუქონ. უკრაინის გაძლიერება ამერიკისთვის, ასევე, ევროპისთვის სულის მოთქმის ტოლფასია. ზემოთ მოგახსენეთ, რომ რუსეთმა მრეწველობა სამხედრო ყაიდაზე გადაიყვანა, მათ შორის, ციმბირის ქარხნები. ასევე, იარაღსაც ყიდულობს. დასავლეთმა არც კი იცის, საიდან ყიდულობს რუსეთი იარაღს. ეს ძალიან საინტერესო საკითხია. ამიტომაც სურთ ამერიკელებს მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ ეს არ მოხდება. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს ხელისუფლება, ამ შემთხვევაში, მართებულად იქცევა. ეს არის პოლიტიკური სვლა, რასაც მივესალმები. ეს უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. ის გახლავთ სახელმწიფოს მეთაური, რომელიც მართავს და პასუხისმგებელია ქვეყანაზე. იგი ახლახან დაბრუნდა ევროპიდან. ეკონომიკურ თემებზე საუბრის გარდა, დავოსში განიხილებოდა საკითხი საქართველოს მიერ მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე. იგივე, აზერბაიჯანელები, სომხები, ევროპის სახელმწიფოები ღარიბაშვილს შეხვედრისას ეუბნებოდნენ, რომ მეორე ფრონტის გახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. საქართველოს მდგომარეობა ახლა ძალიან რთულია. ოპოზიცია ერთს ამბობს, მაგრამ ხელისუფლებამ სულ სხვა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. მან პოლიტიკურად უნდა ითამაშოს ამერიკასთანაც, ევროპასთანაც და, გნებავთ, რუსეთთანაც. ასე რომ, ლავროვი შემთხვევით არაფერს ამბობს. თუ მიაქციეთ ყურადღება, მან ადრე ნახსენები ასეთი ფრაზა თქვა: აფხაზებმა და ოსებმა თავად გადაწყვიტონ, ვისთან ერთად სურთ ცხოვრებაო. ეს როდი ნიშნავს, რომ ამ განცხადებას ხბოს აღტკინებით შევხვდეთ. ლავროვს ახლა დასჭირდა და იმიტომ გააჟღერა ეს ფრაზა. როგორ ფიქრობთ, როცა საქართველოს დანაწილება მოხდა, ვინ იყო ამაში ჩარეული? — აშშ, ხომ. საქართველოს განაწილება შევარდნაძის პერიოდში მოხდა, როცა მან აფხაზეთს ომი გამოუცხადა. იქ თავისი ლაშქარი შეიყვანა და მოხდა საქართველოს განაწილება. 1993 წლის სექტემბრის მერე ჩვენ აფხაზეთთან არავითარი ურთიერთობა აღარ გვქონია არც ეკონომიკური და არც სხვა სახის. ასევე ოსებიც არავის ემორჩილებოდნენ, ფაქტობრივად, ცალკე იყვნენ. ამ დროს აშშ-მ განაწილება მოახდინა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუს სამხედროებს მისცეს, სადაც რუსული ბაზები გააკეთეს. მაშინ რატომ არ ამოიღო ამერიკამ ხმა, როცა ბაზებზე იყო ლაპარაკი. თქვენ ხომ იცით, რომ რუსეთის ბაზების დაყენება ოკუპაციაა. მაშინ ამაზე ხმა არავინ ამოიღო, მათ შორის, არც გაერომ. ეს ორგანიზაცია არაფერს აკეთებს. 2008 წელს იგივე განმეორდა. ამ წელს რუსეთმა ეს ტერიტორიები უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. თუ ლავროვის ფრაზას რეფერენდუმი მოჰყვა, დარწმუნებული ვარ, აფხაზებიც და ოსებიც იტყვიან, რომ რუსეთთან ერთად უნდათ ცხოვრება, რადგან ამ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობა აღარ დარჩა.




ეს არის შემოგდებული ფრაზა, რაც ლავროვს შემთხვევით არ გაუჟღერებია. იგი ერთ-ერთი დიდი დიპლომატია. ასევე პუტინიც ძლიერი პოლიტიკოსია. იგი არის პიროვნება, რომელიც რუსეთისთვის ყველაფერს გააკეთებს. მას სურს, პოლიტიკურ ისტორიაში დარჩეს. ზოგი დილეტანტი გაიძახის: პუტინი ავად არის, მალე გადადგებაო. ეს საინფორმაციო ომია და არაფერს ნიშნავს. ლავროვის განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიმართ გაფრთხილებაა... მან დიპლომატიურად თქვა: აფხაზებმა და ოსებმა თავად გაარკვიონ, ვისთან ერთად უნდათ ცხოვრებაო. ვფიქრობ, აფხაზებთან და ოსებთან დაახლოებისკენ ნაბიჯები ჩვენ უნდა გადავდგათ. დარწმუნებული ვარ, მაშინ ეს ჩვენი მოძმე ერები უკვე სულ სხვა არჩევანს გააკეთებენ...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დიპლომატია მილიტარიზაციამ ჩაანაცვლა

ახალი, 2023 წლის პოლიტიკური ამინდის პროგნოზირება გაცილებით რთულია, ვიდრე კლიმატურისა. ექსპერტები ხშირად საუბრობენ მოსალოდნელ მესამე მსოფლიო ომზე. პოლიტოლოგების ნაწილი კი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, უკვე მიდინარეობს, მაგრამ, საბედნიეროდ, ბირთვული ომის დაწყებას, ჯერჯერობით, არავინ აპირებს. თუმცა, ერთ დროს მოკავშირე ქვეყნებს შორისაც ურთიერთობა თითქმის ყოველდღიურად მწვავდება.

შარშან ფინეთის და შვედეთი განცხადებებს ნატოში გაწევრიანების თაობაზე ალიანსის ქვეყნები აღტაცებით შეხვდნენ. ორივე ქვეყნისთვის გამონაკლისი დაუშვეს და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაჩქარებული წესით მათი მიღება გადაწყდა. წინაღმდეგი მხოლოდ თურქეთი იყო —





მან ფინეთსა და შვედეთში მყოფი ქურთების გადაცემა მოითხოვა, რომლებსაც ტერორისტებად მიიჩნევს. მოლაპარაკებები სკანდინავიის ქვეყნებსა და თურქეთს შორის დღემდე მძიმედ მიმდინარეობს.

## რელიგიური პროვოკაცია პოლიტიკის თანხლებით

ალიანსში გაწევრიანების საკითხზე მოსალაპარაკებლად თურქეთში შვედეთის თავდაცვის მინისტრი უნდა ჩასულიყო, მაგრამ ანკარაში დაგეგმილი ვიზიტი გასულ კვირას თურქეთმა გააუქმა. ამის მიზეზი შვედეთის დედაქალაქში გამართული თურქეთის საწინააღმდეგო მიტინგი გახდა. აქციაში ქურთებიც მონაწილეობდნენ, რომლებსაც თურქები ტერორისტებად მიიჩნევენ. მკვეთრი და შეურაცხმყოფელი გამოსვლების გარდა, მიტინგის მონაწილეებმა სტოკჰოლმში, თურქეთის საელჩოსთან რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ფიტული დაწვეს. მათმა საქციელმა, თავისთავად, თურქეთის მხარე გააღიზიანა, მით უფრო, რომ აქციას შვედეთის ერთ-ერთი წამყვანი პარტიის ლიდერი ხელმძღვანელობდა. გასულ შაბათს ხელისუფლების მიერ ნებადართული აქციის მონაწილეებმა, შეიძლება ითქვას, დანაშაული ჩაიდინეს — მუსლიმთა წმინდა წიგნი, ყურანი დაწვეს! მათ თავიანთი საქციელით არამარტო თურქეთი, არამედ მთელი მუსულმანური სამყარო აიმხედრეს! მომხდარზე პროტესტი გამოთქვეს საუდის არაბეთის, გაერთიანებული საემიროების, ყატარისა და სხვა ქვეყნების მეთაურებმა! სამართლიანია აღნიშნული ქვეყნების, რბილად რომ ვთქვათ, გაღიზიანება, რადგან დაუშვებელია ნებისმიერი ტრადიციული რელიგიებისადმი უდიერად მოპყრობა!

## დაგვიანებული ბოდიში

შვედეთის ხელისუფლება შეეცადა მომხდარის შერბილება-განეიტრალებას, მოიბოდიშა კიდეც, მაგრამ როგორ დასრულდება შვედეთსა და მუსულმანურ სამყაროს შორის განვითარებული კონფლიქტი, ძნელია პროგნოზირება. თავისთავად, ანკარა ახლა უკვე კატეგორიულად შეეწინააღმდეგება შვედეთის ნატოში გაწევრიანებას. თურქეთის მოსახლეობა აღშფოთებულია, დიდ ქალაქებში მრავალათასიანი საპროტესტო აქციები იმართება შვედეთის (და არამარტო მათი) წინააღმდეგ, წვავენ შვედეთის დროშებს. მშვიდობიანი დემონსტრაციები, შესაძლოა, რადიკალურ მოქმედებებშიც გადაიზარდოსო, შიშობენ ანალიტიკოსები.

## რას მოიტანს არჩევნები

თითქმის ორი ათეული წელი თურქეთი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, განსაკუთრებით ერდოღანის პრეზიდენტობის პერიოდში, რითიც ევროპელ და ამერიკელ მოკავშირეებს აღიზიანებს. ქვეყნების მეთაურები საჯაროდ მკვეთრი გამონათქვამებისგან თავს იკავებენ, სამაგიეროდ, ყოფილი ჩინოვნიკები ამბობენ ყველაფერს, რაც უნდათ. გაზაფხულზე თურქეთში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია. თანამდებობაზე ერდოღანის დარჩენა დასავლეთის ინტერესებში არ შედის. თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ყოფილი თანაშემწის ჯონ ბოლტონის განცხადებით: „...ერდოღანის არჩევნებში გამარჯვებით თურქეთში დემოკრატია დასამარდება. მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ნატოდან თურქეთის გარიცხვის საკითხი უნდა დადგეს“.

## ჩაკეტავს თუ არა?..

თურქეთს, როგორც კარგად ვიცით, ევროპასა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე



მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს. ამის გარდა, თურქეთი აკონტროლებს მნიშვნელოვან სტრატეგიულ საზღვაო გზებს — დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს. თურქეთშია განთავსებული აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სამხედრო ბაზა ბირთვული იარაღით. ამიტომ, პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ თურქეთის ნატოდან გაწვევა გამორიცხულია. თავის მხრივ, თურქეთსაც აქვს პრეტენზიები ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების მიმართ. თუმცა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დღევანდელ სამყაროში ყველაფერია მოსალოდნელი.

## ორგანიზატორები თუ არაფორმალური მმართველები

საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი ყოველწლიურად იმართება შვეიცარიის ზამთრის კურორტ დავოსში. ტრადიციულად, შეხვედრა იანვრის შუა რიცხვებში ტარდება, რომელსაც ბიზნესმენებთან ერთად ქვეყნების მეთაურებიც სტუმრობნენ. განსახილველი თემები, ძირითადად, ეკონომიკაა. ექსპერტების შეფასებით, წლევანდელი ფორუმი უფერულად ჩატარდა, ეკონომიკაზე ნაკლებად ილაპარაკეს, რადგან ღონისძიება პოლიტიზებული იყო. თუმცა დავოსში არ ჩავიდნენ აშშ-ის, ჩინეთის და სხვა დიდი ქვეყნების მმართველები. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანის, ილონ მასკის აზრით, დავოსის ფორუმის ორგანიზატორები მეტისმეტ გავლენას იძენენ განვითარებად ქვეყნებზე, ემსგავსებიან არაფორმალურ მმართველებს, ამიტომ ღონისძიება აღარ უნდა გაიმართოსო. განსაკუთრებით მკვეთრი განცხადება გააკეთა აშშ-ის ტელეკომპანია „ფოქსნიუსის“ წამყვანმა ტაკერ კარლსენმა, რომლის აზრით, დავოსის ეკონომიკური ფორუმი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის განადგურებას ემსახურება.

## საპროტესტო ტალღა ევროპაში

საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა ევროპის წამყვანი ქვეყნები. პროტესტანტების მოთხოვნები სოციალური პირობების გაუმჯობესებაა. საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქვეყანაში უნდა გაიზრდოს საპენსიო ასაკი. უკმაყოფილო მოსახლეობამ ქუჩას მიაშურა. აქციები გაიმართა თითქმის ყველა დიდ ქალაქში. მიმომხილველების შეფასებით, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობდა გაცილებით მეტი ადამიანი, ვიდრე ე. წ. „ყვითელჟილეტიანების“ აქციებში. ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებენ, რომ მსგავსი აქციები, რომლებშიც ახლა უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, საფრანგეთში 1969 წლის შემდეგ აღარ გამართულა. მაშინ აქციების შედეგად გადადგა პრეზიდენტი შარლ დე გოლი, მეორე მსოფლიო ომისა და საფრანგეთის გმირი. გასულ კვირას საფრანგეთში აქციები პოლიციასთან შეტაკებებით აღინიშნა. ამასთან, პარიზში დაგეგმილი აქციების გამო პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი დედაქალაქიდან, ფაქტობრივად, გავიდა. ფრანგულმა პრესამ ამის გამო მას „მშიშარა“ უწოდა.

## შეძლებს უკრაინა ყირიმის იარაღით დაბრუნებას?

„...უკრაინას დავეხმარებით, ვიდრე საჭირო იქნება. ახლა ჩვენ შემოგვყურებს უკრაინელი ხალხი და კრემლი. ჩვენ დასაკარგი დრო არ გვაქვს“, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა გერმანიაში, რამშტაინის აშშ-ის სამხედრო ბაზაზე უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების შეხვედრაზე. დროის დეფიციტზე ისაუბრა უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ დავოსის ფორუმზე ვიდეოჩართვისას. რამშტაინში განიხილეს უკრაინისთვის გადაცემის იარაღის რაოდენობა. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, აშშ კვლავ დაეხმარება უკრაინას შეიარაღებით, მაგრამ მძიმე ტექნიკას, განსაკუთრებით თანამედროვე ტიპის ტანკს „აბრამსს“ არ მიაწვდის. ჯერ კიდევ თავს იკავებს გერმანია უკრაინისთვის თავისი ტანკების, „ლეოპარდების“ მიწოდებაზე. ამიტომაც შეხვდა ოსტინი გერმანიაში ჩასვლისთანავე ქვეყნის ახალდანიშნულ თავდაცვის მინისტრს ბორის პისტორიუსს. მათი საუბრის შინაარსი არ გასაჯაროებულა.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, აშშ უკრაინას იარაღით დაეხმარება, რათა მან შეძლოს ყირიმის დაბრუნება. თუმცა აშშ-ის გაერთიანებული შტაბების სარდალი, გენერალი მირკ მილი, რომელიც ასევე იმყოფებოდა გერმანიაში, უკრაინელებს ურჩევს, დროებით თავი შეიკავონ კონტრშეტევისგან. გავრცელებული ინფორმაციით, კიევში საიდუმლო ვიზიტით (უკვე მერამდენედ) იმყოფებოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უილიამ ბიორნსი. როგორც იუწყებიან, მან ზელენსკის გადასცა დაზვერვის მონაცემები რუსეთის გეგმების შესახებ. ამასობაში უკრაინაში ბრძოლები გრძელდება, იზრდება მსხვერპლი, მაგრამ ომის შეჩერებაზე არავინ ფიქრობს. პირიქით, ცალკეული პოლიტიკოსები აღვივებენ დაპირისპირების ცეცხლს.



## სამურაი იარაღს აჟღარუნებს

დამაფიქრებელი ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას. იაპონიის ხელისუფლება საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის მიზნით კონსტიტუციის შეცვლას აპირებს. 1945 წელიდან, ანუ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისშემდეგ, დღემდე იაპონიას არ ჰქონდა ჯარის ყოლის უფლება. ახლა კი ვითარება იცვლება. იაპონელთა გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. რა შედეგები მოჰყვება იაპონიის მილიტარიზაციას, ძნელია პროგნოზირება. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: აღმოსავლეთ აზიაში კიდევ უფრო გამწვავდება პოლიტიკური ვითარება.

როგორც ვხედავთ, დიპლომატიამ მსოფლიოში დათმო პოზიციები, რაც სამყაროს სასიკეთოს არაფერს მოუტანს, მით უფრო, როცა დიპლომატიას მილიტარიზაცია ჩაენაცვლა...

**გია ბურდული**
551 71 27 07

**21-ე საუკუნის დასაწყისში ვენესუელა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა იყო, დღეს კი უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის შედეგებს ძლივს უმკლავდება. ამაში უმნიშვნელოვანესი როლი ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ დაწესებულმა სანქციებმა შეასრულეს, რომლებიც უცხოური ნავთობმბოპოვებითი კომპანიების ნაციონალიზაციას მოჰყვა.**

**როგორ უმკლავდება ნავთობის უზარმაზარი მარაგის მქონე ქვეყანა ტოტალურ დეფიციტს და რატომ ვერ მიაღწიეს საერთაშორისო სანქციებმა, რომლებსაც ვენესუელის ეკონომიკა უნდა დაენგრია და ხელისუფლების შეცვლა გამოეწვია, დასახულ მიზანს.**



# სანქციების მსოფლიო ისტორია

## როგორ უმკლავდება ვენესუელა დასავლეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას

2006 წლის 20 სექტემბერს ვენესუელის მაშინდელი პრეზიდენტი უგო ჩავესი გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოვიდა და აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსს ეშმაკი უწოდა. ჩავესმა აშშ მსოფლიო ჰეგემონიაზე პრეტენზიის, სხვა სახელმწიფოების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებისა და მტაცებლური ეკონომიკური პოლიტიკის გამო გააკრიტიკა; ბუშ-უმცროსს მატყუარა და ტირანი უწოდა და საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაში დაადანაშაულა.

ვენესუელის ლიდერი ისტორიაში დარჩა, როგორც ამერიკის დომინირების მედგარი მოწინააღმდეგე. უკვე ერთი წლის შემდეგ ვაშინგტონმა ვენესუელას მკაცრი სანქციები დაუწესა, რომლებმაც ლათინური ამერიკის ყველაზე წარმატებულ ეკონომიკას გამოუსწორებელი ზარალი მიაყენეს.




### კარგია, მაგრამ ცოტა

1990-იან წლებში ვენესუელაში ხელისუფლებას რამდენიმე მსხვილი ოლიგარქი ინაწილებდა. უკვე მაშინ ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებული იყო რესურსების მოპოვებაზე, შემოსავალს კი პოლიტიკური ელიტა ინაწილებდა. ქვეყანაში ჰყვაოდა კორუფცია და ნეპოტიზმი, უბრალო მოქალაქეები კი სიღარიბეში ცხოვრობდნენ.

სიტუაციია 1998 წლიდან შეიცვალა, როცა პრეზიდენტად ქარიზმატული უგო ჩავესი აირჩიეს. წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობას ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ჩატარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას, საჭირო რეფორმების გატარებას, ნავთობით მიღებული შემოსავლით სოციალური სფეროს გაუმჯობესებას ჰპირდებოდა.

ჩავესი ხალხს დაჰპირდა, რომ ამერიკის ჰეგემონიასთან და ამერიკანულ სამყაროსთან ბრძოლას განაგრძობდა და ხმათა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩავესმა დაპირებების შესრულება დაიწყო — ეკონომიკის სოციალისტური ტრანსფორმაციის მიზნით მრეწველობის სტრატეგიული დარგების ნაციონალიზაცია გამოაცხადა. ნაციონალურმა ასამბლეამ ჩავესს კარტ-ბლანში მისცა და მის მიერ გამოცემულ აქტებს კანონის ძალა მიანიჭა. ხელისუფლება ძალადობრივად იძენდა კერძო წილებს ენერგეტიკულ და საკომუნიკაციო კომპანიებში. სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა ნავთობგადამამუშავებელი კომპანიებიც. დღეისათვის ვენესუელაში არსებული ნავთობის მარაგი მსოფლიოში უდიდესია.

რესურსების ექსპორტით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა. ფულს მთავრობა ჯანდაცვის, განათლების სფეროების განვითარებაში დებდა და ღარიბ მოსახლეობას ეხმარებოდა. ჩავესის მმართველობის დროს ამერიკაში ნავთობის ექსპორტი სწრაფად იზრდებოდა, ხოლო ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობამ 2005 წლისთვის 143 მლრდ დოლარს მიაღწია, ერთ სულ მოსახლეზე მისი რაოდენობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყველაზე მაღალი იყო.

2007 წლისთვის ჩავესმა მეორე ნაციონალიზაციის ჩატარება განიზრახა. მიზეზი კვლავ ეკონომიკის სოციალისტური ტრანსფორმაცია იყო. სოციალურ პროგრამებს თანხები სჭირდებოდა, შემოსავლის დიდი წილი კი კვლავ კერძო კაპიტალის ხელში იყო. ამჯერად ნაციონალიზაცია შეეხო ადგილობრივ საწარმოებს და დასავლური ნავთობკომპანიების ფილიალებს: ამერიკულ **Exxon Mobil-s**, **Chevron**-ს და **ConocoPhillips**-ს, ბრიტანულ **BP**-ს, ფრანგულ **Total**-ს და ნორვეგიულ **Statoil**-ს.

ამერიკამ და დასავლეთის ქვეყნებმა ჩავესის გადაწყვეტილების საპასუხოდ პირველი მკაცრი სანქციები დაუწესეს ვენესუელას. თეთრმა სახლმა აკრძალა ამერიკიდან სამხედრო და სამრეწველო ტექნოლოგიების შეტანა, ნავთობის ფასი კი ბარელზე კვლავ 100 დოლარს შეადგენდა.

ნავთობის ფასები 2009 წელს დაეცა და ნავთობის მოპოვების გაზრდის საკითხი დადგა, მაგრამ ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების იმპორტის შეზღუდვის გამო ვენესუელა ვერ ახერხებდა ნავთობის მოპოვების გაზრდას და ფასების შემცირების კომპენსირებას.

ჯერ კიდევ სანქციებამდე, ჩავესმა და მთავრობამ გადაწყვიტეს, ნავთობით მიღებული შემოსავალი სოციალურად მნიშვნელოვან პროგრამებში ჩაედოთ და ბიუჯეტს მოქალაქეების დახმარებაზე მიმართავდნენ, განსაკუთრებით აქტიურად წინასაარჩევნო პერიოდში. ამან შესაძლებლობა მისცა ჩავესს, კიდევ სამჯერ გამხდარიყო პრეზიდენტი. ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და მანქანათმშენებლობა, ფული პრაქტიკულად არ იდებოდა. ნავთობმრეწველობაც კი არ ფინანსდებოდა, ინფრასტრუქტურა არ განახლდებოდა და არც წარმოების მოდერნიზება ხდებოდა.

ამასთან, ხელისუფლება მოსახლეობის დახმარების მიზნით ხელოვნურად ამცირებდა ნივთებზე ფასს, ამით კი ბიზნესს უსპობდა განვითარებისა და შემოსავლის მოპოვების შესაძლებლობას. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკის გამო შემოსავლებმა მნიშვნელოვნად დაიწყო შემცირება, ფორტუნა ვენესუელის მხარეზე იყო და ნავთობით მიღებულმა შემოსავალმა კვლავ ხაზნიაში დაიწყო დენა.

### რთული გამოცდა

2013 წელს, ჩავესის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი ნიკოლას მადურომ დაიკავა, რომელიც ჩავესის თანამებრძოლი იყო ამერიკის ჰეგემონიასთან ბრძოლაში. ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემდეგ კვლავ დაიწყო მორიგი კრიზისი. 2015 წლისთვის ნავთობის ფასი კატასტროფულად დაეცა. ეს კიდევ ერთი დარტყმა აღმოჩნდა ვენესუელის ეკონომიკისთვის.

ვენესუელაში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე ქვეყანაში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც არეულობებში გადაიზრდებოდა ხოლმე. პოლიციამ ჩაახშო აქციები, ყველაზე აქტიური მონაწილეები კი დააპატიმრეს. ამერიკამ ვენესუელის ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დარღვევაში დაადანაშაულა. ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა კანონს ვენესუელაში სამოქალაქო საზოგადოების დაცვის შესახებ, რომელიც უფლებას იძლეოდა, შემოეღოთ მკაცრი სანქციები მათ მიმართ, ვინც პროტესტების მსვლელობისას ადამიანების უფლებების დარღვევაში იყვნენ შემჩნეული. პერსონალური სანქციები დაუწესეს მადუროს, მის ცოლს და რამდენიმე ათეულ სახელისუფლო ჩინოვნიკს.

2017 წელს ამერიკამ გზა გადაუკეტა ვენესუელას მსოფლიო საფინანსო ბაზრებისკენ — ქვეყნის ცენტრალურ ბანკს აეკრძალა საერთაშორისო ოპერაციები და დოლარის გამოყენება. ვენესუელა იზოლაციაში აღმოჩნდა.

გარდა ამისა, დაწესდა შეზღუდვები იმპორტზეც, რამაც ქვეყნის საქონელბრუნვა შეამცირა. მოგვიანებით ამერიკამ აკრძალა ნებისმიერი ოპერაციები სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით რესპუბლიკას აღარ შეეძლო სესხის აღება.

ექსპერტების თქმით, ვენესუელის ეკონომიკური მოდელი ორიენტირებული იყო ნავთობის ექსპორტსა და სასურსათო და სამრეწველო საგნების უმრავლესობის იმპორტზე, ქვეყანა ხომ პრაქტიკულად არაფერს აწარმოებდა.

იმპორტის აკრძალვამ ვენესუელა საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტის პირობებში ჩააყენა. მადურო შეეცადა ამ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ამისთვის რადიკალური ზომები აირჩია — მსხვილ სუპერმარკეტებში ფასები საბაზროზე ბევრად დაბალი იყო. ამან შეამცირა პრობლემის სიმწვავე, მაგრამ ქვეყანა კვლავ დეფიციტის წინაშე აღმოჩნდა — სანქციები ვენესუელის ჯერ კიდევ ფუნქციორებად სექტორებს აზიანებდა.

საფინალო დარტყმა ამერიკამ ვენესუელას 2018 წელს, ქვეყანაში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიაყენა.

აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა მთლიანად აკრძალეს ვენესუელის ნავთობის მონოპოლისტთან **Petroleos de Venezuela**-სთან და სახელმწიფო ნავთობკომპანიასთან ბიზნესის წარმოება. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ოქროთი და სხვა რესურსებით საგარეო ვაჭრობა.

1990-იან წლებში ვენესუელა დღე-ღამეში სამ მილიონ ბარელ ნავთობზე მეტს მოიპოვებდა. მადუროს მმართველობის პირობებში ეს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა, მაგრამ შემოსავალი ნავთობზე მაღალი ფასის გამო მაინც იზრდებოდა. სანქციების დაწესების შემდეგ ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად შემცირდა.

მოგვიანებით მადურომ ამერიკის ქმედებას ეკონომიკური ბლოკადა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ექსტრემისტული და ამორალური ქმედება უწოდა, რამაც ქვეყანა ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა (სანქციების შემოღების შემდეგ ვენესუელის თითოეულმა მოქალაქემ საშუალოდ 8 კგ დაიკლო).

სანქციების ეფექტის ემისიის საშუალებით ნიველირების მცდელობამ ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე მიიყვანა, რომლის შეჩერებაც მხოლოდ 2020 წელს შეძლეს. სანქციების გამო ბევრი უცხოური კომპანია იძულებული გახდა, ვენესუელიდან წასულიყო, რამაც უმუშევრობის ზრდა გამოიწვია.

სანქციების კიდევ ერთი უსიამოვნო ეფექტი გაზრდილი მიგრაცია გახდა. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნიდან დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი წავიდა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს იმ კვალიფიცირებული სპეციალისტების ხარჯზე მოხდა, რომლებსაც ეკონომიკის აღდგენაში შეეძლოთ მუშაობა. ვენესუელის ეკონომიკა 2014-2020 წლებში 80 პროცენტით შემცირდა.

ყველაზე მწვავე პრობლემა მედიკამენტების ნაკლებობა გახდა. როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა წინააღმდეგაც ამერიკამ სანქციები დააწესა, ვაშინგტონმა განაცხადა, რომ წამლებისა და სამედიცინო მოწყობილობების შეტანას არ ზღუდავდა, მაგრამ, ამასთან, შემოიღეს მეორადი სანქციები, რომლებიც ამ ოპერაციებთან დაკავშირებულ ბანკებს და ლოჯისტიკურ კომპანიებს აყენებდა დარტყმას. მედიკამენტების დეფიციტიის გამო ყველაზე რთულ მდგომარეობაში ონკო და ქრონიკული დაავადებებით დაავადებული პაციენტები აღმოჩნდნენ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# ალალი ვანო გონიერიც ყოფილა



2023 წლის ე.წ. საახალწლო დღეები ნაცვლად „ასე ტკბილად დამიბერდისა", „ვანო მიუჭიტლაყებიათ — დაგელოცოს მარჯვენა", — ფრაზით დაიწყო და გაგრძელდა. მედიამ დაგვაზეპირებინა, რა ჰკითხა მიმჭიტლაყებელმა და რა უპასუხა ვანომ; რომ ვანო არ ჩივის, არ ცხადდება დაკითხვაზე, ანუ შეიწერა ჭიტლაყი ყველანაირად, მაგრამ რომ არ ეშვებიან?

არ უნდა ამ კაცს ჩივილი და ძალაა?

ამ ხალხს მეხსიერების პრობლემა აქვს, თუ რა სჭირთ? არ იციან, რომ ვანო ალალი იყო იმთავითვე? ალალი იყო და ახლა გონიერიც გამხდარა — სადაც არა სჯობს, გაცლას ამჯობინებს. მისი სვლა-გეზიდან იკვეთება, რომ საქართველოს ფარგლებსგარეთ არსად წამსვლელი არ არის, უდე-თბილისის გზაზე უნდა იყოს გახიდული და მასზე კარგად ვინ იცის, რომ არაფერში სჭირდება ნეხვის გაქექვა, ხომ უფრო აუმყრალდება?

გარდა ამისა, ვანო უკვე „ნაჯდომია" და ხომ არ „გაბოზდება?"

მაგას, შეიძლება, კვირისტავებზე ფლომასტერით ლამაზად გამოყვანილი ნამგალა მთვარეც ეხატოს — კაცი ალალია, ალალობით ვერ მოუვიდოდა?

რა იყო, ნაკითხობის სადემონტრაციოდ რომ აბლუკუნდა, „ამპლუაში" უნდოდა ეთქვა და ჩაიხვია „ამპულაშიო", მთვარე ვერ აერეოდა ვარსკვლავებში?

ანდა, რომ დაგიჩემებიათ, „ორი გვამი მინდა" თქვაო, „გვამი" რაში სჭირდებოდა, იჭმევა, ისმევა თუ რამე სარგებელია, „გემი" თქვა, გემი!

იჯდა კაცი პატიოსნად საკანში, მხოლოდ დასაწყისში აწიკვინდნენ მისი დამქაშები რაღაცას და ისინიც ჩააჩუმა, არათუ მეუღლეს ამოეღო ხმა — არც მას გააქექინა, მოიხადა ის სასჯელი, რაც მიუსაჯეს და არის დანაშაულმოხდილი იურიდიულად. თავისთვის კი იცის, რა მსუბუქადაც დაისაჯა, მაგრამ თვითონვე ხომ არ იყვირებდა, მო....ნთ სამართალი, ამაზე მაპატიმრებთ, თქვე ფარჩაკებოო?

ეს ალალ-მართალი ფიქრები ექნებოდა ვანოს, საკუთარ განაჩენს რომ მოისმენდა...

გველს კუდიდან ვინ იჭერს?

„თუ ხელისუფლებას არ შეუძლია მეტზე მოედავოს ვანო მერაბიშვილს, მაშინ ამ ყველაფრის შეფასება მიმინდვია საზოგადოებისთვის" და კიდევ, „თუ ხელისუფლებამ ვანო მერაბიშვილს ყალბი პასპორტის გარდა ვერაფერი მოუძებნა, ე.ი. მერაბიშვილი კარგი მინისტრი იყო!" — თქვა მაშინ თეა თუთბერიძემ ღვარძლით.

თეას ხსენებული საზოგადოება, ერთის მხრივ, ფრიად გაოცებული იყო და არა აღშფოთებულშეშფოთებული მისი ამ განცხადებით, რომელიც ასე იკითხებოდა: „ვაი, თქვენს პატრონს უბედურს, თუ ამ ადამიანური ცოდვებითა და სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით დამძიმებულ კაცს მეტი ვერაფერი მტკიცებულება დაუდეთ თავისუფლების აღკვეთის მიზეზადო..."

თეა-გოგო არ გახლავთ ფრაზების როყიოდ მსროლელი, მოკლედ და ბეჭედდასმულად ყოველთვის კარგად აქვს გააზრებული, რას ამბობს და ვინ ჰყავს მიზანში, ხოლო რატომ — ეს უკვე სხვა საკითხია. იმ დროს მხოლოდ ვერსიის დონეზე შეიძლებოდა ვარაუდი, რატომ გაჰკრა კბილი ვანო მერაბიშვილს თეამ და რატომ დაამუნათა ახალი ხელისუფლება — კენჭი ისროლა კბილაშვილის უწყებაში და ლოდი — მერაბიშვილის ბოსტანში.

მოგეხსენებათ, მაშინდელი მოარული ჭორ-მართალი, თეას და ბაჩოს ერთმანეთი ესიმპათიურებათო;

სანამ ძმები ახალაიები საქართველოს სივრცეში არ ჩანდნენ, მათმა მამამ განაცხადა, ჩემი შვილები საჯარო მოხელეები აღარ არიან და ახლა დასასვენებლად იმყოფებიანო;

ამავდროულად, რამდენიმე დღით თვალთახედვის არედან ისე დაიკარგა ვანო მერაბიშვილი, კაცი არ იყო მისი გზა-კვალის მცოდნე. მანამდე თუ იმას კითხულობდნენ, ვანო რატომ არ გარბისო, მის გაუჩინარებას კითხვა მოჰყვა, ვანოც გაიქცაო? არადა, ვანო არსადაც არ გაქცეულა, რამდენიმე დღეში ისევ გამოჩნდა და რუსთავში გამართულ შოთაობასაც დაესწრო.

ჭორი გავარდა, ვანო ახალაიებთან იყო, ერთი — დაბადების დღის მისალოცად რომელიღაცისთვის და მეორე, სამართალდამცავ ორგანოებთან გამოცხადება და მცირე ხნით „ჩაჯდომა" ურჩიაო.

ჭორი ასე გრძელდებოდა: დათა ახალაიამ თანხმობა განაცხადა, ბაჩომ კი ქოში უკუღმა ჰყარაო. ამ ჭორს სხვა ჭორი უძღვოდა წინ, პრეზიდენტმა უთხრა ბაჩო ახალაიას და ზურაბ ადეიშვილს, ხალხის დასაშოშმინებლად ცოტა ხნით „ჩაჯექითო", ადეიშვილმა თანხმობა განაცხადა, ბაჩომ კი გინებით ისე გამოიჯახუნა სააკაშვილის კაბინეტის კარი, კინაღამ ანჯამებიდან ამოვარდაო.

ამ ყველაფერს სხვა ჭორი მოჰყვა — წყნეთში პიკნიკობდნენ ახალაიები, როცა მათ პრეზიდენტის ბრძანებით ე.წ. შავნაბადას სპეცრაზმმა შემოარტყა ალყა, მაგრამ ინფორმაციამ გაჟონა, ახალაიებმა სოსო თოფურიძეს დაურეკეს, გვიშველეო და ათი „პიკაპი" გამოცხადდა ადგილზეო. უეჭველ სისხლისღვრას თავი აარიდა მიშამ და ალყა მოიხსნა, ამის შემდეგ გადაიმალნენ ძმებიო.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჭორი ეძახე და მართლა კი გამოცხადდა ბაჩო ახალაია საკუთარი ფეხით „სადაც ჯერ არს", ჭორის მიხედვით, მათთან ვანოს გამოცხადების და რაღაც პირობის მიცემის შემდეგ.

მთლიანობაში თუ ავიღებთ ყველა ამ გავრცელებულ ხმას და დავალაგებთ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ნიშნები ნამდვილად გამოიკვეთება. ანუ თეა თუთბერიძე ნაწყენი უნდა ყოფილიყო ვანო მერაბიშვილზე თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ „აუღებელი" ბაჩო, რომელიც პრეზიდენტსაც კი გაუძალიანდა, მან „შეაბა", ტკბილი სიტყვით გველი ხვრელიდან ამოიყვანა — ეს საკმარისი საფუძველია მოუნელებელი ბოღმისათვის...

ახლა ისევ გადმოდგა ბანზე თეა-ქალი ლონდონიდან და თავისებური მტკიცებულებითი ტონითა და ტკეპვნით ლამის დადასტურებულად გამოაცხადა ვანო რუსეთის გავლენის აგენტად თუ რაღაც ამდაგვარად. რაც გინდა ის იყოს, რუსეთის საქმეს აკეთებდა და აუცილებლად მომიწევს ამ თემაზე მასთან ინტერვიუო.

ვიიიშ, ახლა რაღამ გადარია თეა, ახალაია და მერაბიშვილი მოწინააღმდეგე ბანაკებში რომ ალმოჩნდენ „ენმ-ს" თავმჯდომარის არჩევნებში?




იქით წამებულად შერაცხულმა ჟორიკა რურუამ დაუშვა ავტომატივით: კი, ეგრე იქნება, აბა, რას დაძვრებოდა ჩუმ-ჩუმად ევროპაში და ვილაცებს ებაზრებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილმა დაიწყოო?

აქეთ ნიკანორ მელია იგლეჯს უხილავ თმას, სწორედ ვანომ გამომიქვეყნა ათა პაპისდროინდელი ჩანაწერები, რა „სუსი" და ზმუკიო!

ეს მელია რაღას აუშარდა ვანოს, რა ქნას კაცმა, თუ მასზე მეტად „გრუშა კოსტუმა" ესიმპათიურება?

ვანო-კაცი ალალია!

მისი შს მინისტრობისას დედამისს ქათმები რომ მოჰპარა ვილაც გზააბნეულმა ბედდამწვარმა, ალბათ, ციმბირსიქით გაიყინა, მაგრამ „მელია" ისე პირდაპირ ასოცირდება ქათმის მომპარავთან, ნეტავ, რატომ უნდა ხარობდეს მისი გვარის გაგონებაზე ვანო-კაცი, „ხაბე-ხებე" უკეთ არ ჩაესმება რუსეთის აგენტურულ ყურში?

კარგად მახსოვს, ერთ დროს, ანუ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას (თუ არ მეშლება, 2000 წელს), ვილაც უფერული და უტყვი ვანო მერაბიშვილი ცხონებული კობა დავითაშვილის დასაცავი რომ გახდა, „ალალობით მოუვიდა და ეს ისეთი თვისებაა, რომელიც არ უნდა დაისაჯოსო";

2011 წელს ბიძინა ივანიშვილმაც შეაწია სიტყვა: „ვანო მერაბიშვილს ვიცნობ როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნებასო."

ხალხსაც და, როგორც გამოჩნდა, თეა თუთბერიძესაც მოთხოვნა ჰქონდათ, რომ ბატონ მერაბიშვილზე უფრო მძიმე და სერიოზული მუხლებით აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ, ნურას უკაცრავადო!

ეტყობა, ისეთი ალალი თვალები ჰქონდა ვანოს, მოსამართლემ რაღაც წლები რომ მიუგდო სასჯელად. სახლში მისულმა მოსამართლემ თავისი მანტია დაკუწა, შეჭამა და შვიდგზის მეტანია შეასრულა, ეს რა ვქენი, როგორ დავღუპე ალალი ბიჭიო...

ჯერ კიდევ პრემიერმინისტრობის კანდიდატად წარდგენილმა პირმა, ბატონმა მერაბიშვილმა თქვა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე: პასუხისმგებლობას ვიღებ ყველაფერზე, რაც აქამდე მითქვამს და მიკეთებიაო და, არაო, შენ ვინ გეკითხება, რა გიკეთებია და რაზე უნდა აგო პასუხიო, — ასე გამოიყვანეს...

ვინ არის ეს ალალი და ბევრი დადებითი თვისების მქონე, წმინდა გიორგის ორდენის მფლობელი ვანო მერაბიშვილი, საიდან, როდის და როგორ ამოტივტივდა უეცრად და ასევე უეცრად როგორ გადააფრინდა „პოლიტკიტებს" უდედან ჩამოსული და ბოლო დრომდე „გაღლეტილი" კაცი, რა დამსახურებისთვის?

ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტის მაჩანჩალა სტუდენტმა 1992 წელს დაასრულა განათლების მიღება და 1995 წლიდან მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო 1996 წელს „თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გახდა. 1999 წელს პარლამენტის წევრად აირჩიეს (დანიშნეს), თუმცა, არავის შეუმჩნევია მისი არსებობა მანამ, სანამ, ცოტა უცნაურია, მაგრამ „ვაშინგტონ პოსტი" არ „დაინტერესდა" მისგან (არაფრით გამორჩეული რიგითი პარლამენტარისგან) ინტერვიუს აღებით.



ინტერვიუ სკანდალისთვის




იყო გამიზნული — ვანო მერაბიშვილი, სწორედ ეს უტყვი უდებლუ აღმოჩნდა ის „გაბედული პოლიტიკოსი“, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პარტიის თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იმდენად დაბერდა, რომ ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო.

აი, იმ დღიდან გაიცნო ფართო საზოგადოებამ ვინმე ვანო მერაბიშვილი, რომელმაც გაბედა და წინ გადაურბინა „მამას.“ მის ამგვარ საჯარო განცხადებას, ვინაიდან მერაბიშვილი „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ფრთის, ჟვანიას გუნდის წევრი იყო, მწარე რეაქცია მოჰყვა ზურაბ ჟვანიას მხრიდან. „რაღაცას დროში დაემთხვა“ და მერაბიშვილმა ინტერვიუ მისცა უკვე „კომერსანტს“, სადაც იმ დროისთვის უცნაური ფრაზა თქვა: „ჟვანიასა და სააკაშვილს შორის დაპირისპირება არ არსებობს და გარანტიას გაძლევთ, კიდევ ხუთი წელი არ



იქნება“. რანაირად იძლეოდა „რიგითი“ მერაბიშვილი რაღაცის გარანტიებს და რანაირად გახდა სამშობლოში „უჩინო“ და უტყვი კაცი ასე საინტერესოდ მეტყველი მნიშვნელოვანი რესპონდენტი მის ფარგლებსგარეთ?

სრულად ხუთი წელი არ გამოვიდა, მაგრამ დოკუმენტურ ფაქტად დევს 2005 წლის 3 თებერვლის ვიდეოჩანაწერი, როდესაც სისხამ დილას, უკვე საქართველოს შს მინისტრის რანგში (2004 წელს 18 დეკემბერს დაინიშნა) სწორედ ვანო მერაბიშვილმა გვამცნო საზოგადოებას პრემიერ ზურაბ ჟვანიას უბედური შემთხვევით გარდაცვალების შესახებ...

ვანო მერაბიშვილზე ფილმი მახსენდება „კაიზერ სოზა“ — ერთადერთი ფილმია, როცა დასაწყისიდანვე ვერ გამოვიცანი, ვინ იყო ის, ვისაც ფილმის ყველა პერსონაჟი ეძებდა...

ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში („მართალი გაზეთი“, №12, 2002 წ.) ჟურნალისტის შეკითხვაზე, „მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობის, გნებავთ, უბრალოდ, ჩხუბის დროს, როგორი ფორმაა თქვენთვის მისაღები?“ ვანო მერაბიშვილმა სიცილით უპასუხა: „ჩხუბი — მხოლოდ ტანკებით, ავტომატებით და თვითმფრინავებით“.

ჩვენი მიჭიტლაყებული უდევანო, ჩვენი ნახერხემლარი, ჩვენი იუმორისმოყვარე და ბოლო დროს ჩვენი გამრთობი, დიდი პოლიტმაქინატორი...

ვანო რომ კარგი მენეჯერი და ორგანიზატორი ყოფილა, სავარაუდოდ, დავინახავთ, როდესაც „ხაბე“ იქედნურად ახედავს ქვემოდან მელიას, მაგრამ ეს ბახმაროს ნიავივით მერყევი არსება, ყურფიჩორა არარაობა, რა ნიშნით შეიყვარა პარტიის თავმჯომარედ მერებიშვილ-კეზერაშვილის ტანდემმა?

ვანო-გონიერ! ვანო-იდუმალ! ვანო — მელიას მტარვალი!

ბიჭო, ვანო, საბანი შემოიკეცე, 12 სახის ვირუსი ცირკულირებს, რომელიმე არ შეგხვდეს, საწყალი კურდღელივით ავად არ გაგვიხდე!

არ დაგვღუპო სეირის მაყურებლები ცალკე და რუსეთის ფედერაცია ცალკე!

ვანო, შე ალალო, ალალად დასაბრედო!

**P.S. ჰო, მართლა, სერგეი ლავროვს უკითხავს თემურ ალასანიასთვის „ნტვ-ზე“ საქვეყნოდ, „ვანია გდეო?“ იმას თავისებური „სიყვარულით“ უთქვამს ორიოდე სიტყვა, რაზეც იმყოფება და დაუყოლებია: „ე, ბიჯო, ქართულად მაინც მკითხე, ამ რუსებმა რომ ვერ გაიგონ, რა იყო, ქართული აღარ გეკერკებაო?“ ივანოვი გადარეულა, ახლა ორივეს თუ შემოგკარით, შუა ახმეტა „ლენინის მოედანი“ გეგონებათო. ლენინის ხსენებაზე პრიმაკოვის სული ამოსვეტილა პირდაპირ ეთერში, „ტავარიშჩ ივანოვ, ერთი მეც მთხლიშე და თბილისში, „ლენინგრადის ქუჩის“ დასაწყისში დამაპასატკეო...**

**ზურაბ ოქხერელი**

# მადამ, ადრინდელ თავმომწონე ქალს ცოცხზე გადასაჯდომად გამზადებული გაჩხიკული დეგნანი გაჩოქებთ, თუ პირდაპირ კუანა ბაიდენი? ფრთხილად!

6 გვ.

ვიწყდა ვინ აქცია საქართველოს პრეზიდენტად...

ახია ჩვენზე!

მადამ, გენეტიკურად კი ხართ ქართველი, მაგრამ სიზმრებს რა ენაზე ნახულობთ?

მადამ, ჩაგვხედავ ხალხს თვალებში თუ ჩვენ ჩაგხედოთ?

თქვენს ემოცია-შთაბეჭდილებას გაგახსენებთ (2009 წ.) როდესაც ვერაფერი შეასმინეთ მანიაკებს:

„მიდიოდა ძალიან აბნეულ-დაბნეული საუბარი, რომელიც არსად არ იწყებოდა და არსად არ მთავრდებოდა, მე პირადად ვაცხადებ, არ გამაჩნია. იმის უნარი, რომ ისინი გადავარწმუნო. ჩემი და მათი დიალოგი, ალბათ, დღეს დამთავრდა!“ — ამოიხვნეშეთ უმწეოდ, ახლა კი მათ მფარველ კელი დეგნანს ასდევნებიხართ კაბის ბოლოს დამჭერად... ისე კი, თქვენ რომ ჩიქორთული საუბარი იცით, სამარცხვინო, თავისმომჭრელი, სხვისკენ არ უნდა იშვერდეთ ხელს...

ახლა ჩვენ რაღა ვთქვათ, თქვენთან დიალოგი კი არა, პირდაპირი მოთხოვნა რომ გვაქვს: „არ შეიწყალო კრიმინალი!“ და „შეწყვიტე სხვის დაკრულზე პრუტუნი“!

მამლის ყივილამდე სამჯერ რომ მოგვაძახე, რას მომივარდითო და, შესაბამისად, სამჯერ ვადიდეთ ნიკა გვარამია, რა ჯეროვნად შეუმკია ეს ქალბატონი თავის დროზეო, ფიქრობთ, ამით არაფერი დაგაკლდათ? მოგივარდით არა, შაყი გკარით და სარზე გაგსვით...

შეგახსენოთ, როგორ მოგნათლათ ინტელექტუალმა გვარამიამ? — სირქალაო...

მადამ, სირცხვილია!..

„ფაჩიკოს გარმონში“ რომ დაგიბარებენ და პრეზიდენტის მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, საფერფლეს მაინც არ მოგიტანს რომელიმე რიგითი პოლიციელი მაინც, პრეზიდენტი სააკაშვილი კი აგიხსნის, თუთუნის კვამლზე საგანგაშო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა ჩაირთვებაო — ღირსი ყოფილხართ ამგვარი უპატივცემულობის...

თქვენ გვიპირებთ მოტყუებას „არა და არასოდეს“ ფარქვეშ? — თქვენც სისხლისღვრა გინდათ საქართველოში?

თუ ბრძანება-მითითებებს არ შეასრულებთ, თქვენს შვილებს ჩაეკეტებათ კარებები „ევროპებში“ და დედობთ?

შვილმოკლულ მშობლებს ეუბნებით, მომივარდითო და ვინც ამ ხალხს შვილები დაუხოცა, იმ სისტემის შემქმნელი ქვეყნის ელჩს დაუდექით ხელისგოგოდ? — სირცხვილია მადამ! მადამ, სირცხვილია!

„სანდრა-მფატრავად“ წოდებული ქალი თქვენი სტუმარი იყო და მრავალ მოკლულთა და ნაწამებთა ოჯახის წევრები — მოვარდნილები? ასე მიგითითათ ვიღაც ბოგანოს „მისმა უდიდებულესობა“ დეგნანმა?

სამოქალაქო ომის გაჩაღებას იმიტომ აპირებთ, რადგან „მეორე ფრონტი“ არ გამოსდით მავანთ? — ეს არა მხოლოდ სირცხვილია, გულისამრევია, მადამ!

თქვენი სიტყვებია, „ქაჯები



მიდიანო“. თქვენ როდის მიემგზავრებით იქ, საიდანაც მოსულხართ, მადამ?!

ყველაფერს ვერ მოიმოქმედებთ ევროკავშირის სახელით სპეკულიანტობისა და მახინჯი ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ზეწოლით, მადამ!

ჩვენ, ხალხი, არ მოვვარდნილვართ, მოვედით მოწოდებით, მაგრამ ჩვენ, ხალხს, შეგვიძლია მივუვარდეთ სასათბურე პირობებში ასაფეთქებლად გამზადებულ ამონიუმის გვარჯილა სააკაშვილს და გავგლიჯოთ შუაზე, — ეს გინდათ? რატომ?

თუ ის გინდათ, რომ თქვენ მოგივარდეთ და ასე ააგოროთ დესტაბილიზაცია, რაც მაინც სისხლისღვრას გამოიწვევს და ყველანაირ პერსპექტივას დიდი ხნით დაუკარგავს საქართველოს?

მადამ, ნუ დაუწვებით საქართველოს „დაუძინებელ მეგობრებს“! — სირცხვილია!

მადამ, ნუ დაუწვებით კრებსით სააკაშვილებს — სირცხვილია!

ძალიან ჭუჭყიანზე თქმა იციან, ისეთი ჭუჭყიანი იყო, რიონი და ცხენისწყალი ვერ გარეცხავს ერთადო. ჯანდაბას, ლუარა და სენა იყოს! — თქვენზე იმავეს ნუ გვათქმევინებთ — სირცხვილია!

რამ გაგაქაჯათ, მადამ?

მადამ ხომ არ გძლიათ, მადამ?

9-წლიანი ტირანიიდან გამომძვრალი საქართველო გაგინებთ და გწყევლით — მოგწონთ, მადამ?

ეს რა უსინდისო ქალი ყოფილაო, — ასე ამბობენ და მოგწონთ, მადამ?

„ფრანცუჟანკა“ კი არა, ერთი ჩვეულებრივი სამშობლოს მოღალატე „მენშევიკების“ ნაშიერი ქალია, ურცხვი და უტიფარი, სხვას რას ელოდითო, — ამბობენ და მოგწონთ, მადამ?

თქვენი წინაპარი გაიქცა საქართველოდან, მადამ, საკუთარ ცხენს, ორთქლმავალს თუ გემს ასწრებდნენ ევროპაში და შინ, ევროპაში ხომ არ გეძახით გული და სული?

რა თქმა უნდა, ასე იქნება, თქვენ ხომ მხოლოდ სახელად ხართ ქართველი (ისევე, როგორც სხვა არაერთი), საჭიროებისდა გამო გადმოქართველებული. სხვა შემთხვევაში, საქართველოსა და ქართველების ხმას გაიგებდით და არა ვიღაც გადამთიელებისას!

მადამ, ხომ კარგად დაინახეთ რომ არ გენდობოდათ საქართველო, მაგრამ გავრისკეთ და გენდეთ, ცუდსა და უარესს შორის არჩევანი თქვენზე შევაჩერეთ, ესიც, იმ კაცის პატივისცემის გამო, რატომღაც იქით რომ მიუბრუნდით და თავქარიანი კვიცივით აუხვინტრიცდით ცხვირწინ ასაკოვანი ქალი — სირცხვილია!

შე „მადამ“, სირცხვილია!

ფრთხილად, მადამ, პიპინია ერისთავის ცხენს არ გაასწროთ დაოთხილმა...

**ზურაბ ოქხერელი**

# ეკონომიკისა და ხალხის ინტერესები პოლიტიკურ ინტერესებს არ უნდა გადააყოლო

## ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნებში წარმოება დაიხურა



*გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:*

**— ქალბატონო ლია, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე პრემიერი ღარიბაშვილიც იმყოფებოდა. მან აღნიშნა, რომ სტაბილური საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით, საქართველო 2023 წელს ახალ ინვესტორებს ელის. თქვენი პროგნოზი როგორია?**

— მინდა გითხრათ, რომ დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წელს ჩინეთიდან ბიზნესმენები არ ჩავიდნენ, რაც ძალიან ცუდი ნიშანია. წარმომადგენელი კი იყო, მაგრამ მას მალე უფლებამოსილება ეწურება. დავოსში, რა თქმა უნდა, მსოფლიოს უმდიდრესი ბიზნესმენები იმყოფებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, არა ყველა ქვეყნიდან. ფორუმს თვალს ვადევნებდი და ოდნავ პოლიტიზებული მომეჩვენა. ეკონომიკაზე ნაკლებად ისაუბრეს. მართალი გითხრათ, წინა წლების ფორუმებისგან არაფრით განსხვავდებოდა. საქართველოზე დავოსის ფორუმი, ისტორიულად, სამწუხაროდ, არანაირ გავლენას არ მოახდენს. ეს არც ინვესტიციებს გაზრდის. ამიტომ ამ ფორუმზე დიდი გათვლებისა და იმედების დამყარება არ ღირს. ჩემი აზრით, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, უფრო მეტად საჭიროა ბიზნესმენებთან ინდივიდუალური მუშაობა და ჩვენი ქვეყნის წინ წაწევა, საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ინვესტიციები უნდა მოვიზიდოთ არა უბრალოდ ინფრასტრუქტურაში, სასტუმროების მშენებლობასა თუ სხვა მომსახურების სფეროში, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების სამრეწველო, ასევე, სოფლის მეურნეობის სფეროში მოზიდვა. თუ საკუთარი მრეწველობა არ გვექნება, საქართველოს ეკონომიკა ფეხზე ვერასდროს დადგება და სულ ასე ნახევრადცოცხალ, ნახევრადმკვდარ მდგომარეობაში ვიქნებით. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და, ფაქტობრივად, ეკონომიკური თვალსაზრისით, არავის ინტერესის სფეროში არ შევდივართ.

**— დავოსში ღარიბაშვილი „სითი-გრუპის“ ხელმძღვანელობას შეხვდა. საუბარი იყო საქართველოში გლობალური ბიზნესცენტრის გახსნის შესაძლებლობაზე. ეს რამდენად მიღწევადია?**

— საქართველოს რეალობაში ასეთი გენიალური იდეები არაერთხელ გაჟღერებულა. აქ საერთაშორისო-საფინანსო ჰაბის გახსნაც უნდოდათ. სამწუხაროდ, ყველა ეს იდეა ისე დაიმარხა, რომ მათი რეალიზება არც კი დაწყებულა. საქართველო არ არის იმ პოტენციალის ქვეყანა, სადაც საერთაშორისო ცენტრი გაიხსნება. უბრალოდ, ამის პოტენციალი არც ეკონომიკურად, არც ფინანსურად და არც ინტელექტუალურად არ გაგვაჩნია. ამიტომ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, საქმე კი წინ არ მიიწევს.

**— რას ფიქრობთ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადაცემის ხაზის პროექტზე, რომელიც უკვე შეთანხმებულია?**

— მთელი შავი ზღვა ამ კაბელებით არის დასერილი. იქ უზარმაზარი ოდენობის სხვადასხვა კომუნიკაციის — დენის, ინტერნეტი და ა.შ. კაბელებია. რა თქმა უნდა, საქართველოს ჩართვა საერთაშორისო რესურსების განაწილების საკითხში, ჩვენს ეკონომიკას ძალიან წაადგება. თუმცა, ესეც მომსახურების სფეროა, რაც ქვეყანაში დოვლათს ვერ ქმნის. სამწუხაროდ, ყველამ ვიცით სხვადასხვა ქვეყნების მიმართ კოლონიალური დამოკიდებულება, რა დროსაც მეტროპოლიები კოლონიებს საკუთარი წარმოების ქონას უკრძალავდნენ. სწორედ აქედან დაიწყო კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობები, რადგან მათ სურდათ, საკუთარი წარმოებები ჰქონოდათ. საქართველოც, დაახლოებით, ამ დღეშია. ჩვენ შეიძლება პირდაპირ არავინ გვიკრძალავს, მაგრამ არც არავინ გვეხმარება, რომ ადგილობრივი მრეწველობა გვქონდეს. მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე აქცენტის გაკეთება ქვეყანას ვერც ააყვავებს და ვერც მოსახლეობას გაამდიდრებს.

**— დავოსში ისაუბრეს მთავარ გამოწვევებზე — როგორი უნდა იყოს ეკონომიკები, როგორ მიაღწიონ მათ დამოუკიდებლობას და როგორ უპასუხონ რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე არსებულ სასურსათო კრიზისს?**

— ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დიდმა ქვეყნებმა რეცეპტები კი არ გამოწერონ, არამედ პატარა ქვეყნებს საკუთარი გზის პოვნაში ხელი არ შეუშალონ, რადგან უნივერსალური რეცეპტები არ არსებობს. ამას კიდევაც ცხადჰყოფს „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ საქმიანობა, რომელსაც საქართველოს მსგავსი ყველა ჩამორჩენილი ქვეყნისთვის ერთი და იგივე რეცეპტი გააჩნია, რაც ყველგან არ მუშაობს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა პატარა ქვეყანამ თავისი გზა იპოვოს და ამაში მას ხელი არავინ შეუშალოს. რაც შეეხება გზის პოვნის პროცესს, ამას გარკვეული ინტელექტუალური პოტენციალი სჭირდება. ანუ, მეცნიერული პოტენციალი, რაც ბიუროკრატიამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს. რაც შეეხება რუსეთს, ის ჩვენი მეორე სავაჭრო პარტნიორია. მასთან ეკონომიკური კავშირების წყვეტა ჩვენი ეკონომიკის სერიოზულ კრიზისს გამოიწვევს. ისევე, როგორც თურქეთთან სავაჭრო კავშირების წყვეტამ შეიძლება ქვეყანა შიმშილის პირას მიიყვანოს. ამიტომ რუსეთი და თურქეთი ჩვენი ორი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია, საიდანაც საქართველო იკვებება და მათთან კავშირის გაწყვეტა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია მიუხედავად იმისა, თუ რა განცხადებებს აკეთებენ ოპოზიციონერები. ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც უნდა გაითვალისწინონ ამ კუთხით მეცნიერების მოსაზრებები, თუ გვინდა, რომ. საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთში საქართველოდან სანქცირებული პროდუქცია შედის. გამოდის, რომ რუსეთში საქართველოდან ექსპორტი არაპროპორციულად არის გაზრდილი. რეალურად რა ხდება?**

— სანქციების პოლიტიკა ორმხრივი ბასრი იარაღია — როგორც ევროპამ იწვნია რუსეთზე დაწესებული სანქციების შედეგი, ასევე, შესაძლოა, საქართველოსაც იგივე დაემართოს, თუ სანქციებს შეუერთდება. გეტყვით, რა მოხდება ეკონომიკის თვალსაზრისით: საქართველოდან რუსეთში გასული ექსპორტი, ფაქტობრივად, მის ერთ პატარა რეგიონს ჰყოფნის. სულ ციცქნა, ერთი რეგიონი რომელიღაც ქართულ პროდუქციას მოიხმარს. ანუ, ჩვენი ექსპორტი რუსეთში ზღვაში წვეთია. რუსეთში პროდუქციის გატანა ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე მას ჩვენს ქვეყანაში რაიმე პროდუქციის შემოტანა. განა რა უნდა აწარმოოს ისეთი სამმილიონიანმა ერმა, რომელიც გარკვეული სტრატეგიული დანიშნულების იქნება და რუსეთზე სანქციების ზემოქმედების თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, რომელიც ყველას ხელში შეჰყურებს. ამიტომ ეს პოლიტიკური თამაშები, სანქციები და ა.შ. დაუშვებლად მიმაჩნია. ვთვლი, რომ ამ მიმართულებით ჩვენი მთავრობა ძალიან სწორად იქცევა — ის საქართველოს ინტერესებიდან გამოდის, გუნდრუკს არ უკმევს დასავლეთს, რაც მისასალმებელია. მთავრობის ეს პოზიცია საქართველოს სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს. ჩვენ რომ სანქციებს მივუერთდეთ, ოპოზიციონერებივით ყიჟინა ავტეხოთ, რუსეთი, ელემენტარულად, ყველა გზას გადაგვიკეტავს — არც იქედან შემოვა რამე, არც ჩვენგან გავა და საქართველოს იმაზე მეტი პრობლემები შეექმნება, ვიდრე ზოგადად გააჩნია. ამიტომ რუსეთი, როგორიც უნდა იყოს, ჩვენი მეზობელია.






**— სავალუტო ფონდის მონაცემებით: 2027 წელს საქართველო პირველად გადასცდება ათი ათასდოლარიან ნიშნულს. ამბობენ, ამით ევროკავშირში შესასვლელად მინიმალურ სტანდარტებს დავაკმაყოფილებთო...**

— როდესაც რომელიმე ქვეყანა ევროკავშირს უერთდება, ეს უკანასკნელი მილიარდებს გამოყოფს იმისთვის, რათა ახლადმიერთებული ქვეყნის ეკონომიკა ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამებოდეს. ანუ, ევროკავშირში შესვლის დიდი სურვილი, პირველ რიგში, განპირობებულია იმ უზარმაზარი თანხით, რასაც საქართველო გაწევრიანების შემთხვევაში მიიღებს. ეს პატარა, ღარიბი ქვეყნისთვის სერიოზული, მნიშვნელოვანი ფაქტორია. მეორე მხრივ, ევროკავშირის მოთხოვნების ნაწილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია. და, მესამე — ევროკავშირში შესვლა საქართველოსთვის სუვერენიტეტის დაკარგვას ნიშნავს! ანუ, ილიას თეზა: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, ამით ბათილდება და ქვეყანა ევროკავშირის მმართველობის ქვეშ ექცევა. თუმცა, ევროკავშირში მიმდინარე დუღილის პროცესს თუ დავაკვირდებით, ჩვენთან შედარებით დიდი ქვეყნები ევროკომისიის გადაწყვეტილებებს აპროტესტებენ და საკუთარ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, თუნდაც იგივე ენერგეტიკის სფეროში და ა.შ. ასე იქცევა რუმინეთი, სერბეთი და ა.შ. შიდა დუღილი ის პროცესია, რომელიც ევროკავშირში წინ უძღვის ძალიან სერიოზულ პრობლემებსა და განხეთქილებებს. თურქეთმაც კი ევროკავშირის წევრობაზე ხელი აიღო და ოფიციალურად განაცხადა: თქვენგან არაფერი გვინდაო. რამდენად სასარგებლო იქნება საქართველოსთვის ევროკავშირის წევ-

რობა, ამაზე სამწუხაროდ სერიოზული კვლევები არ ჩატარებულა. დააკვირდით, რა მოხდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. იქ შესვლის მერე ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმოება, ფაქტობრივად, დაიხურა, დარჩა მხოლოდ მომსახურების სფერო. ახალგაზრდობამ ქვეყანა მაშინვე დატოვა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გადაინაცვლა. ფაქტობრივად, ბალტიისპირეთში მხოლოდ ასაკოვანი ხალხი დარჩა. საქართველოსაც ეს პრობლემა დაუდგება. ახალგაზრდობა — ერის მომავალი, ჯიში, გენი ქვეყანას დატოვებს. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში სამი მილიონ შვიდასი ათასი მოსახლე ვართ. აქედან, დაახლოებით, ორი მილიონ-ნახევარი დარჩება. ეს ერის ამოწყვეტის პროცესს ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეს საქართველოში სიკვდილიანობა შობადობას სჭარბობს, რამდენიმე ათეულ წელიწადში შეიძლება, ქართველი ერი, როგორც ასეთი, აღარ არსებობდეს. ამ ყველაფერზე უნდა ვიმსჯელოთ და გავაანალიზოთ, რა შედეგი მოჰყვება ევროკავშირში გაწევრიანებას. წინდახედულობაა საჭირო და არა ურაპატრიოტიზმი.

**— წელს მთავრობამ პენსიები, სოცდახმარებები გაზარდა, ასევე, მედიკამენტებზე ზღვრული ფასი წესდება. გასაკეთებელი, ალბათ, მაინც კიდევ ბევრია...**

— როცა ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება, ამას თან აუცილებლად სოციალური გასაცემელის, ხელფასის ზრდა უნდა მოჰყვეს. ასე რომ, ეს ბუნებრივია და მისასალმებელიც. თქვენს ყურადღებას ერთ საკითხზე გავამახვილებ: საპენსიო სისტემა პიროვნებას, რომელიც საშემოსავლო გადასახადს იხდის, კიდევ 2%-ს აჭრის. ანუ, თავად საშემოსავლო 20%-ია და ამას ემატება კიდევ 2%, რომელიც გაურკვეველი წარმომავლობისა და მომავლის არმქონე „საპენსიო ფონდში“ ირიცხება. ეს მოსახლეობის ძარცვაა. იგივე ევროკავშირის ქვეყნებში „საპენსიო ფონდში“ თანხას თავად დამქირავებელი იხდის. ბალტიისპირეთის ქვეყნებში თანხას სახელფასოდან საპენსიო ფონდში დამქირავებელი იხდის, რათა ამ თანხის მეშვეობით პენსიები გაიცეს. ეს მძარცველური სისტემა სააკაშვილის პერიოდში ჩამოყალიბდა, რაც გასაუქმებელია. ზოგადად, ბევრი სასარგებლო რამ კეთდება, თუმცა მთავრობისთვის მადლობის თქმა იმისთვის, რომ თავის ფუნქცია-მოვალეობებს კარგად ასრულებს, ზედმეტად მიმაჩნია. თქვენ, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტს, ვინმე გიხდით მადლობას იმის გამო, რომ თქვენს საქმეს შესანიშნავად ასრულებთ?!




**— ადგილობრივი მოსახლეობა მცირდებაო — აღნიშნეთ, სამაგიეროდ, მაღალია მიგრაციის დონე. ესეც ხომ არ იწვევს ფასების ზრდას და ინფლაციას?**

— ბათუმში ვიყავი და გაოცებული ვარ — უკრაინელებმა, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, ყველამ საკუთარი ბიზნესი გახსნა. ანალოგიური ხდება თბილისშიც — ფული აქვთ და ბიზნესების გახსნას იწყებენ. ისინი ჩვენს ეკონომიკას რაღაც კონკრეტულს მატებენ — მაღაზიას, რესტორანს, საბავშვო ბაღს და ა.შ. გარდა ამისა, საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმაოდ კვალიფიციური მუშახელი შემოდის. დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან ამ მუშახელის გამოყენება ძალიან გონივრული იქნებოდა. სამწუხაროდ, ოპოზიციის ყიჟინა — რუსები არ გვინდაო, ამ ყველაფერზე ცუდად მოქმედებს. არადა, ლარი სტაბილურია მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ რუსებმა საქართველოში დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა შემოიტანეს. ეკონომიკისა და ხალხის ინტერესები პოლიტიკურ ამბიციებს არ უნდა გადააყოლო.



**— რა რისკებთან არის დაკავშირებული ეროვნული ვალუტის გამყარება და ეს რამდენად გრძელვადიანი ტენდენციაა?**

— ტენდენციის გრძელვადიანობაზე საუბარი რთულია, რადგან ლარის მოძრაობა აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია. არავინ იცოდა, რომ უკრაინაში ომი დაიწყებოდა და რუსეთიდან საქართველოში დიდი ოდენობით ფული შემოვიდოდა. რა დაემართება ლარს გრძელვადიან პერსპექტივაში, ამის პროგნოზი შეუძლებელია. ყველამ ვიცით, რუსების შემოსვლამდე ლარი ვარდნას განიცდიდა. ჩვენ იმდენად სუსტი, მოწყვლადი ეკონომიკა გვაქვს, რომ მასზე პატარა პოლიტიკური პროცესებიც კი გავლენას ახდენს. პოლიტიკაში რა მოხდება, არავინ იცის. საუბრები დაიწყო ბირთვულ ომზეც.

**— ლარი მყარდება, მაგრამ პროდუქტი მაინც ძვირდება. რა არის ამის მიზეზი?**

— საქართველოში ინფლაცია ყოველთვის ლარის კურსით იყო გამოწვეული. მაგრამ ახლა მსოფლიოში ძალიან რთული პროცესები მიდის: სხვადასხვა ქვეყნებში ენერგეტიკული კრიზისია, მეზობელ თურქეთში უზარმაზარი — 70%-იანი ინფლაციაა, რაც ასევე მაღალია რუსეთშიც. ეს ყველაფერი კი იმპორტირებული საქონლის ფასზე გავლენას ახდენს. ბუნებრივია, ინფლაციაც იზრდება. დღეს ჩვენ იმპორტირებული ინფლაცია გვაქვს. ამას ემატება ადგილობრივი ბიზნესმენების სურვილი, პროდუქტზე ფასების ზრდის მეშვეობით ნეგატიური პროცესებისგან თავის დაზღვევის მიზნით კიდევ უფრო მეტი ფული დააგროვონ. ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება და შედეგად 10%-იანი ინფლაცია გვაქვს. ეს სტატისტიკური მონაცემებია. სინამდვილეში, ინფლაცია გაცილებით მაღალია, არანაკლებ 25%. ვითარება საკმაოდ მძიმეა. ადამიანები ველარ ახერხებენ სხვა ნივთებზე ფულის ხარჯვას, გარდა კვების პროდუქტებისა, რაც სიღატაკის მაჩვენებელია.

**— ...მაგრამ გასულ წლებში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა რომ გვქონდა?**

— როცა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მომსახურების სექტორის ხარჯზე იზრდება, ასეთი ეკონომიკის ზრდის ფასი ძალიან მწირია. ეკონომიკა უნდა იზრდებოდეს დოვლათის შექმნის გზით და არა მომსახურების, სასტუმროების, რესტორნების ხარჯზე. ამიტომ, როცა ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობენ, მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავს — ეს ყოველივე ჩვენზე რატომ არ აისახებაო. ეს არც არასდროს აისახება, რადგან, როგორც მოგახსენეთ, გააჩნია, რაში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. აღნიშნული ზრდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში რომ გვქონოდა, რა თქმა უნდა, ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზეც აისახებოდა. ეს არამწარმოებლური, ხელოვნურად გაბერილი ზრდაა, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობაზე არასდროს აისახება.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24

# ლიტერატურული კონკურსი „ფრთხილად, წინ მკითხველია!“




**თამაზ წივწივაძის ფონდი და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“** აცხადებენ თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს **„ფრთხილად, წინ მკითხველია!“**

კონკურსი ცხადდება შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო კრიტიკული წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პუბლიცისტური წერილი (10 გვ.)

წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები (3-5 გვ.)

წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (8-10 გვ.)

წლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოები (პროზა, პოეზია — 3-5 გვ.).

საკონკურსოდ მიიღება 2022 წელს ჟურნალ-გაზეთებსა და ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მასალები უნდა წარმოადგინონ 4 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

მისამართზე: თბილისი, ზანდუკელის ქ. №1. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია, ბელა გველესიანს.

ელექტრონული ვერსიებისთვის:
**tsivtsivadzis.fondi@yahoo.com**

კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდებიან 2023 წლის 21 მარტს, ჟურნალისტიკის დღეს.

ნომინაციების მიხედვით პირველ ადგილზე გასული ნაწარმოებების ავტორებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, დიპლომები და სამახსოვრო პრიზები.



**20 იანვარს, საგარეჯოში შემზარავი დანაშაული მოხდა. რუსთაველის გამზირზე მდებარე საცხოვრებელი სახლის აივნიდან დამნაშავემ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ცეცხლი გაუხსნა მშვიდობიან მოქალაქეებს, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა 5 და დაიჭრა 5 ადამიანი. ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დამნაშავემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

**გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი შსს-ს თანამშრომელია.**

---

**„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საგარეჯოში დატრიალებული შემზარავი ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს, დაჭრილებს კი გამოჯანმრთელებას და გამძლეობას ვუსურვებთ.**

**ღმერთმა დაიფაროს საქართველო ყოველგვარი უბედურებისგან, ჩვენგან უდროოდ წასულთ კი უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.**

# ვაჟკაცად ვინცა მოკვდება, ღმერთო, აცხოვნე მკვდარია!

საახალწლოდ საინფორმაციო გამოშვებებში რამდენჯერმე განმეორდა სიუჟეტი, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, როგორც ყოველთვის, ამ ზამთარსაც არ დაივიწყა თუშეთში მყოფი ადამიანები, მესაზღვრეები და იქ მყოფი ადგილობრივები. სასაზღვრო ძალების ვერტმფრენით, რომელიც პერიოდულად დაფრინავს ხოლმე იქ, სურსათ-სანოვაგე ჩაუტანა. სასაზღვრო ძალების ოფიცრის გვარი რომ გავიგე, გავიფიქრე, საიდან სად წამოუყვანია სამსახურს-მეთქი და გონებაში გურიაში, შემოქმედის ეკლესიაში დაკრძალული თუშები გამახსენდნენ.

„სასაზღვრო ძალები“ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი უწყებაა, სამსახურებრივი მოვალეობის გამო, ნებისმიერი კუთხის შვილი შეიძლება მოხვდეს ყველა მხარეში, მაგრამ იმ თუშებს რაღა ომი აუტყდათ, ნეტავ, გურიაში? — სად გურია — სად თუშეთი...

ჩოლოქის ბრძოლის სახელითაა ცნობილი 1854 წლის 4 ივნისს, ოზურგეთიდან რამდენიმე „ვერსტზე“ მომხდარი შეტაკება სოფლებს: ჭანიეთსა და ქაქუთს



შორის რუსეთ-თურქეთის ომის (ყირიმის ომი) დროს. ეს იმ დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო.

ნიგოითის ბრძოლაში თურქების დამარცხების შემდეგ, გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა თურქეთის მთავარი ძალების წინააღმდეგ შეტევა გადაწყვიტა და ოზურგეთისკენ დაიძრა. ოსმალეთის ჯარმა სასწრაფოდ დატოვა ოზურგეთი და მდინარე ჩოლოქის მარცხენა ნაპირზე დაბანაკდა. ძალთა თანაფარდობა ვერ იყო სახარბიელო. თურქების ჯარი, რომელსაც სელიმ-ფაშა სარდლობდა, 35 000 მეომრისგან შედგებოდა, რუს-ქართველთა ჯარი კი მთლიანობაში 10 000 მეომარი თუ იქნებოდა და 4 ასეული დონელი კაზაკის, მილიციის 6 ქვეითი ასეული, 5 ცხენოსანი ასეულისა (იმერეთის), 6 ასეული ქვეთი რაზმისა (გურიის), 11 ბატალიონი ქვეითისგან იყო დაკომპლექტებული.

ანდრონიკაშვილმა სწრაფი შეტევა წამოიწყო „გურიის რაზმით“, დაამარცხა მტრის მოწინავე ნაწილი და ჩოლოქისკენ დაეშვა — უკანდასახევი გზა მოუჭრა ოსმალებს, გადალახა ჩოლოქი, პირისპირ დაუყენა ჯარი და საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად, რუს-ქართველთა მხედრობა მაინც წინ მიიწევდა. შეტევაზე გადავიდა ჯარის ყველა ნაწილი. ხელჩართულ ბრძოლაზე გადასვლამ გატეხა ოსმალები და უკან დაიხიეს. ქობულეთამდე სდიეს გაქცეულ მტერს ჩვენმა ცხენოსნებმა...

პროფესორ იური სიხარულიძის მონაცემებით, ბრძოლის არეალი მოიცავდა ჩოლოქის მარცხენა მხარის სოფლებს: გაღმა ქაქუთი, სკური, ჩეხედანა, ჯიხანჯური, წყაბროკა; მარცხენა მხარის სოფლებს: გამოღმა ქაქუთი, ჭანიეთი, ვაშტიალი, ნარუჯა, ანასეული.

სელიმ-ფაშამ დაკარგა 4 000 მებრძოლი, 15 ქვემეხი, 36 დროშა, 3 ბანაკი, მთავარსარდლისათვის სულთანის მიერ ნაბოძები ხმალი და მუშირის ბანაკი; ხოლო ანდრონიკაშვილმა, დაჭრილთა და მოკლულთა სახით 1 500 მებრძოლი (მსხვერპლის მესამედი ქართულ მილიციაზე მოდიოდა).

(დროშების რიცხვი ხაზგასმულია! დღეს რომ ვიღაცებს დროშა მხოლოდ ნაჭერი ჰგონიათ და რა ფერადაც უნდათ, ისე აფერადებენ, კანონი კი მიყურფიჩორებულია, ეს დაუშვებელია! რადგან დროშა, ჰიმნი და გერბი სახელმწიფო ატრიბუტიკაა! ანდა, სულაც, რა დროშა გვაქვს სახელმწიფო დროშად, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული დროშა?! ისიც, ქრისტეს საფლავიდან მოპარული, რომელიც, ფაქტობრივად, სომხეთის დროშა უფრო შეიძლება, იყოს. ქრისტესგან მოპარული და თან სხვა ერის სარგო. სირცხვილია!)



8 ივლისს ჩოლოქის ბრძოლის მთელი ნადავლი თბილისში გამოიფინა, მეფისნაცვლის სასახლის დარბაზში. ამ გამარჯვების გამო თავადი ივანე ანდრონიკაშვილი ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოებდა (პეტრე I-ის დაარსებული), რომელიც თვით რუსეთის არმიაშიც ძალიან ცოტა ადამიანს თუ ჰქონდა მიღებული, მოგვიანებით ანდრონიკაშვილს იმპერატორის ბრძანებით კავალერიის გენერლის წოდება მიენიჭა.

ჩოლოქის ბრძოლაში გამარჯვებით ჩაიფუშა ოსმალეთის ცდა, რომ სურამის გზით ახალციხე-ახალქალაქისა და ბათუმის კორპუსები გაეერთიანებინა. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ქართული მილიცია წმინდა გიორგის დროშით დააჯილდოვეს, ხოლო გამარჯვებისთვის „ქართულ დრუჟინას“ მიენიჭა შტანდარტი.

როგორც მემატიანე წერს, ჩოლოქთან გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართველებმა, რომელთაგან დიდად გამოიჩინეს თავი თუშებმა. სამხედრო ისტორიკოსი, გენერალი ვასილ პორტო თავის ნაშრომში „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“ (თარგმანი ი. ბაქრაძე, 1894 წელი) წერს: „როდესაც ომის შემდეგ ჯარი ოზურგეთში აპირებდა დაბრუნებას, ჯარის უფროსს შეატყობინეს, რომ თუშები ტყეში დარჩნენ, მოკლულ კაცს ეძებენ და ვიდრე არ იპოვნიან, წამოსვლას არ აპირებენო. ბევრს ეხვეწნენ და ემუდარნენ თუშებს, მაგრამ იმათ თავისი არ დაიშალეს და მკვდარი კაცის ძებნაზე ხელი არ აიღეს. „წადით, — ამბობდნენ ისინი, — ჩვენ თვითონ ვიპოვნით გზასაო“. „იქნებ დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს თქვენი კაცი,“ — ეუბნებოდნენ თუშებს, მაგრამ იმათ ეს არ სჯეროდათ — „არა, ჩვენი კაცი ტყვედ არავის გაჰყვება, ის უთუოდ მკვდარია!“

დიდხანს ეძებეს, მთელი ტყე გადააქოთეს თუშებმა და ბოლოს, როგორც იყო, მაინც იპოვნეს მკვდარი, მაგრამ შემდეგ ასტყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თუშებს თავიანთ ქვეყანაში უნდოდათ მკვდრების წაღება და მთავრობა ამის ნებას არ აძლევდა. ბოლოს მაინც დათანხმდნენ და შემოქმედის მონასტერში დამარხეს ისინი. იქვე დაასაფლავეს დანარჩენი მოკლული ქართველებიც — თავადნი შიგ ტაძარში, ხოლო დანარჩენნი — გალავანში.

სამ დღეს შემოქმედის მეპატრონემ, თავადმა დიმიტრი გურიელმა სამაგალითო ქელეხი გამართა!“

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის თქმით, შემოქმედის ზარზმის მონასტერში შემორჩენილია თავადების, დავით ვახვახიშვილისა და სიღნაღის ასეულის მეთაურის, ზაქარია ანდრონიკაშვილის საფლავები.

ჩოლოქის ბრძოლა აღწერილი აქვთ ქართველ ისტოროკოსებს: ერლომ ბურჭულაძესა და შამშე მეგრელიძეს და ყველა მათგანი შესულია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში.

ჩოლოქის ბრძოლის შთაგონებით შეიქმნა ხალხური სიმღერა „ხასანბეგურა“. გურიის მილიციის ექიმმა, გრიგოლ შაბუროვმა (შაბურიშვილი) ჩოლოქის გმირ მთავარსარდალსა და მის მეომრებს მიუძღვნა ლექსი „დიდი ქებანი“. შაბურიშვილს ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ჩაუწერია ორი ლექსი: „თუშთაგან გურიას მოსვლა და რჩევა ვითარ იომონ ოსმალთან“ და „სიმღერა ჩოლოქის სპასპეტსა ზედა“.

შემონახულია გრავიურა „ჩოლოქის ომის მონაწილე გურული და თუში მეომარი“, თეოგორ ჰორშელდტის ნახატი „თუში მეომარი“, ადოლფ კარლემანის ნახატი „ბრძოლა გურიის საზღვარზე 1954 წლის 4 ივნისი“ და კიდევ მრავალი დოკუმენტური გამოსახულება.

**მაკა ჯაყელი**

---

**P.S. საქართველოს დროშაზე გამოვთქვი მართებული სამდურავი.**

**1099 წელს ეს დროშა დაფიქსირდა, როგორც მაცხოვრის საფლავის დამაფიქსირებელი ნიშანი, რომელიც გერბად მისცეს ჟოფრუა დე ბუილონს, აქედან გამომდინარე, დროშაც (სხვათა შორის, დროშის განმსაზღვრელი არის გერბი). ამავე დროს, მიიღეს მმართველის აბსოლუტურად განსხვავებული, საფლავის მცველის ტიტული, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ამ ერთი პიროვნების გარდა არავის უტარებია. იგი მალევე გარდაიცვალა, მაგრამ მისმა ძმამ ბოლდუინ I-მა, რომელიც უკვე იერუსალიმის მეფე გახდა, არ ცნო თავი ამ ტიტულის ღირსად, თუმცა ამ გერბს ატარებდა. აქედან მოყოლებული, დაფიქსირდა, როგორც თავისებური ჯვარი, ოღონდ, ამ კომპოზიციით.**

**ქართულია, „დავითის დროშააო“, — თუ ვინმემ იცის რამე, გაგვიმხილოს, თუ არადა, დაანებონ თავი ამ მაიმუნობას, რომ ეს დროშა არის ქართული! ეს ისეა დავითის დროშა, როგორც ჩან კაიშის... კი, ბატონო, ჩამოვთვლი და ვნახოთ ორივე შტო.**

**დასავლეთევროპული შტო: მარია ანტიოქიელი (პუატიე), შარლ ანჟუელი, შარლ II კოჭლი, რობერტ I კეთილი, ჟანა I ნეაპოლიტანელი, ლუი I ანჟუელი, ლადისლაო დურაცო ნეაპოლიტანელი, ლუი II ანჟუელი, ჟანა II ნეაპოლიტანელი, იოლანდა არაგონიელი, რენე კეტილი, იოლანდა ანჟუელი.**

**კვიპროსული შტო: ჰიუგო I (III) ლუზინიანი, ჟან II (I) კვიპროსელი, ანრი II დე ლუზინიანი, ამორი II კვიპროსელი, ჰიუგო II (IV) კვიპროსელი, პიერ I კვიპროსელი (კილიკიის არმენიის მეფე), პიერ II კვიპროსელი, ლეონორა არაგონიელი, ჟაკ I კვიპროსელი (არმენიის მეფე), იანუს (ჟან) III (II) კვიპროსელი (არმენიის მეფე), ჟან IV (III) კვიპროსელი (არმენიის მეფე და ანტიოქიის მთავარი), შარლოტა კვიპროსელი, ლუი I სავოიელი (იერუსალიმის, კვიპროსისა და არმენიის მეფე), ჟაკ II ბასტარდი (უკანონოდ შობილი), ანუ ჟაკ II დე ლუზინიანი, კატარინა კორნარო.**

**დიახ, თუ პრეტენზიაზეა საუბარი, სომხებს უნდა ჰქონდეთ პრეტენზია ამ დროშაზე, ჩვენ კი — არანაირი.**

**დიახ, ამ დროშასთან არანაირი შეხება არ აქვთ ქართველებს გარდა იმისა, რომ ქრისტიანები ვართ, პარლამენტმა კი, ვოჰუპით მიიღო იგი და ჟოფრუა დე ბუილონსაც და მის კანონიერ მემკვიდრეებსაც ბრანწი უჩვენა. უმეცრებამ ძალიან ბევრი უხერხულობა შექმნა. გარდა იმისა, რომ ცხვირი ჩაჰყვეს მეცნიერების იმ დარგში, სადაც არ უნდა ჩაეყოთ, ეს არის საშინელი მკრეხელობა. ქურდობა — ქურდობაა, მაგრამ ვის ჰპარავ, ამას მაინც მნიშვნელობა აქვს – მაცხოვარს რომ საფლავიდან აწაპნი...**

**მეორე მკრეხელობა — უზენაესიდან მფარველად გყავს წმინდა გიორგი, ეს იცის მთელმა მსოფლიომ, შენ კი, გვერდზე გასწიე შენი მფარველი წმინდანი, გადააბხტი მას. მთელი მსოფლიოსთვის წმ. გიორგი არის მაცხოვრის ციური მხედრობის მხედართმთავარი, მიწიერი რაინდობის მფარველი, მაცხოვარმა ღირსად გჰყო, რომ ასეთი მფარველი მოევლინა შენთვის და შენ, უკაცრავად გამოთქმაზე და, ნაციონალური ფურთხით კარგად მიაფურთხე იმიტომ, რომ დროშა მოგეპარა? – რა უნდა გვეშველოს, ვერ გავიგე...**

**აი, რა დროშა დაგვფრიალებს თავზე!.. (მ. აფრიდონიძე)**

**მ. ჯ.**



# ციფრული იდენტობა

## კაცობრიობა მალე „ციფრულ ციხეში“ აღმოჩნდება...

ციფრული უნივერსიტეტი, ციფრული ფოტომატიანე, ციფრული იუსტიციის სახლი, ციფრული ბანკი, ციფრული ციხე და სხვა მრავალი ციფრული შემოთავაზება, რომელსაც ყური მიეჩვია, თითქოს ცხოვრების გამარტივების მიზნით, სამყარო რთულ ლაბირინთებში იხლართება... ბილ გეიტსს რატომღაც "ექსკლუზიურ უფლება" მისცეს, მოახდინოს ადამიანის სხეულების "კომპიუტერიზაცია" და მათი უსადენო ლოკალური ქსელების გამოყენება, ანუ ციფრირება. ეს სამეცნიერო ფანტასტიკა არ არის. მკვლევარებმა ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ ივარაუდეს, რომ 2023 წელს აღნიშნული პროცესის განხორციელება დაიწყებოდა. მაიკროსოფტს მინიჭებული აქვს აშშ-ის პატენტი სახელწოდებით: 6,754,472, ანუ „ადამიანის სხეულის გამოყენებით ენერგიისა და მონაცემების გადაცემის მეთოდი და მისი აპარატი“. ამ ფაქტს საზოგადოების უმრავლესობა სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან ფანტასტიკად მიაჩნიათ, ან "კონსპირაციას" უწოდებენ...



დღევანდელი რეალობა, ტექნოლოგიური განვითარებები ცხადჰყოფს, რომ გარკვეულ სამუშაო ადგილებზე ადამიანები აღარ იქნებიან საჭირო. თუმცა არსებობს რამდენიმე ინდუსტრია, რომლებიც ამ მხრივ ხელშეუხებელი იქნება. გერმანული ბანკის აღმასრულებელი დირექტორის ბოლოდროინდელი პროგნოზით, კომპანიის ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას დასაქმებულს, დიდი ალბათობით, რობოტი ჩაანაცვლებს. ერთ-ერთი კვლევა კი აჩვენებს, რომ იურიდიული სექტორი, ათ წელიწადში, შესაძლოა, ავტომატიზებული გახდეს და, გარდა ამისა, დიდი შანსია, რომ ბუღალტრების 95%, ახლო მომავალში, სამსახურს დაკარგავს.

მეცნიერი ამან ჯაბი მძიმე მომავლის სურათს გვიხატავს. მისი მტკიცებით, შეიძლება მალე "ციფრულ ციხეში" აღმოვჩნდეთ. ჯაბი ამბობს, რომ ციფრულ ციხე არის თქვენი ციფრული ID, რომელიც მომავალ სოციალურ საკრედიტო სისტემას უკავშირდება და გააკონტროლებს, რისი გაკეთება შეგიძლიათ და რისი - არა. როგორც ჯაბიმ აღნიშნა, სათვალთვალო კამერები სახის ამოცნობის პროგრამული უზრუნველყოფით უკვე დადგმულია მთელ მსოფლიოში. ისინი საკონტროლო სტრუქტურის არსებითი ნაწილია და ეს მეთვალყურეობა დაკავშირებული იქნება ციფრულ ID-სთან, სოციალური საკრედიტო ქულების სისტემასთან, ნახშირბადის ანაბეჭდის თვალ-ყურის დევნებასთან, ციფრულ ვალუტასთან და სხვა. სხვა ტექნოლოგიების უმეტესობასთან ერთად, რომლებიც მოხერხებულობისა და უსაფრთხოების საფარქვეშ იყიდება, სახის ამოცნობა, საბოლოო ჯამში, არის ინსტრუმენტი მასობრივი კონტროლისთვის და თქვენი ინდივიდუალური ციფრული ციხის არსებითი ნაწილია. ჯაბის განმარტებით, ჩინური კონტროლის სისტემა ეფუძნება სახის ამოცნობას სოციალურ საკრედიტო სისტემასთან ერთად. დასავლეთის ქვეყნებში იდენტური სისტემა უკვე მუშაობს. კულისებში, უბრალოდ, ჯერ არ უთქვამთ ამის შესახებ. 2022 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში მილიარდი სათვალთვალო კამერა დამონტაჟდა, რომლებიც მონაცემებს აგროვებს. ყველა ინტერნეტთან და ხელოვნურ ინტელექტთან არის დაკავშირებული. სინამდვილეში, აშშ-ში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი სათვალთვალო კამერაა. მეორე ადგილზეა ჩინეთი, ხოლო მესამეზე - დიდი ბრიტანეთი.

ყველა ამ მონაცემთა შეგროვების გარდა, კამერები და აუდიოჩამწერი მოწყობილობები მობილურ ტელეფონებში, ავტომობილებსა და ჭკვიან მოწყობილობებში ასევე აგროვებენ და აზიარებენ მონაცემებს, მაშინაც კი, როცა სახლში ხართ. როგორც ჯაბიმ აღნიშნა, ასევე არის დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უკვე ჩაშენებულია აპარატურაში. ჭკვიანი განათების ბოძები „ლედ“ ინფრასტრუქტურა, რომელსაც ასევე უწოდებენ "ღებინების სხივებს", ძლიერი გულისრევის გამოწვევის უნარის გამო არის იარაღი, რომელიც უკიდურესად კაშკაშა, სწრაფ და კარგად ფოკუსირებულ "სხვადასხვა ფერის შემთხვევითი პულსების" სერიას ასხივებს. ჯაბის თქმით, ამ ნათურებს ასევე შეუძლია, გამოიწვიოს ტვინის დაზიანება, ხერხემლის დაზიანება, ბევრი სხვადასხვა ავადმყოფობა და, შესაძლოა, სიკვდილიც კი. ციფრული იდენტობა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (WEF) აღწერა, როგორც სოციალური კონტრაქტის ახალი თავი. ჯაბის თქმით, პრობლემა არის ის, რომ WEF-ის ახალ სოციალურ კონტრაქტს არცერთი ჩვენგანი არ დათანხმდა. ის გადაიხედება WEF-ისა და მისი მოკავშირეების მიერ და დაწესებულია ყველა ჩვენგანზე ჩვენი თანხმობის გარეშე. ადამიანების დიდმა უმრავლესობამ არც კი იცის, რას გულისხმობს, რეალურად, ეს ახალი სოციალური კონტრაქტი, ან როგორ იმოქმედებს ის მათ პირად ყოველდღიურ ცხოვრებასა და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების უნარზე. ეს, გასაგები მიზეზების გამო, არასოდეს ყოფილა სრულად გამოკვეთილი, რადგან, თუ ყველასთვის გასაგები იქნება, დედამიწაზე პრაქტიკულად არავინ მიიღებს მას. თქვენი ციფრული ID საჭირო იქნება ცხოვრების ყველა ასპექტის განსაბლოკად, ინტერნეტში შესვლით დაწყებული, სოციალური სერვისების წვდომა, მოგზაურობა, საკვები, საყიდლები და ფინანსურ სერვისებით დამთავრებული. თუ თქვენი სოციალური საკრედიტო ქულა ძალიან დაბალი იქნება, ამ ასპექტებიდან ერთი ან მეტი შეიძლება გამოირთოს და თქვენთვის მიუწვდომელი გახდეს. "ასე რომ, სტანდარტულად, თქვენ ყოველთვის პატიმარი ხართ", - ამბობს ჯაბი. თქვენი ციფრული ID დასტურდება სახის ამოცნობის საშუალებით და უკავშირდება თქვენს სოციალურ ქულას, ნახშირბადის ანაბეჭდის ქულას და ციფრულ ვალუტას. როგორც თქვენი სოციალური და ნახშირბადის ანაბეჭდის ქულები იკლებს, ასევე იკლებს თქვენი შესყიდვის უნარი." როგორც კი ჩვენ მივიღებთ ციფრულ ID-ის, კაცობრიობისთვის თამაში დასრულდება." თქვენ, ასევე, უნდა უარყოთ ვაქცინის პასპორტი, თუ არ გსურთ, იყოთ სამედიცინო ლაბორატორიის ვირთხა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვაქცინაზე უარის თქმა შეიძლება გამოყენებული იქნას თქვენი ციფრული პირადობის გასაუქმებლად, ან „დასაბლოკად“ და თქვენ ვერ შეძლებთ რაიმეს გაკეთებას, სადმე წასვლას ან ყიდვას. სადაც უნდა წახვიდეთ, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, ვინ ხართ და რომ თქვენი შესაბამისობის მეტრიკა შეესაბამება გაბატონებულ წესებს. ასე რომ, საკვების შესაძენად თქვენ უნდა მოახდინოთ არა მხოლოდ საკუთარი თავის იდენტიფიცირება, რათა თქვენი შესყიდვა სამუდამოდ დარეგისტრირდეს, როგორც ერთ-ერთი შესყიდვა, არამედ ასევე უნდა აკმაყოფილებდეთ შესაბამისობის გარკვეულ სტანდარტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ციფრული ვალუტა არ იმუშავებს. თქვენი ციფრული ვალუტა შეიძლება დაპროგრამდეს ისე, რომ არ იმუშაოს თქვენი რაიონის ფარგლებს გარეთ და თქვენი ჭკვიანი მანქანა შეიძლება დაპროგრამდეს ისე, რომ გაჩერდეს გარკვეული პერიმეტრის შემდეგ. ჯაბი ასევე განიხილავს ჭკვიანი ქალაქებისკენ სწრაფვას, როგორც: თქვენი მობილობის შეზღუდვას და მანქანის მფლობელობის გაუქმებას; თქვენს კონტროლი შეიარაღებული მეთვალყურეობის საშუალებით წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის მოხმარებისას; თქვენი საუბრისთვის, თქვენი ქმედებებისა და ადგილსამყოფელისთვის 24/7 თვალყურის დევნება.

ჯაბის მოჰყავს WEF-ის ფილოსოფიური გურუ იუვალ ნოა ჰარარის მიერ შექმნილ ფორმულა, რათა აღწეროს ტექნოკრატების მუდმივად მზარდი უნარი, დაჰყონ ადამიანები: **B x C x D = AHH. B** ნიშნავს ბიოლოგიურ ცოდნას, **C** არის გამოთვლითი ძალა, **D** არის მონაცემები და **AHH** არის ადამიანის გატეხვის უნარის დონე. როგორც ჯაბიმ აღნიშნა, ადამიანების გატეხვის შესაძლებლობა დამოკიდებულია AI-ზე, რომელიც იკვებება მონაცემთა მუდმივი ნაკადით. ეს არის „მხეცის სისტემა“ იმ გაგებით, რომ ხელოვნური ინტელექტი მხეცია და მას სჭირდება კვება. მისი საკვები არის მონაცემები, რომლებიც გროვდება მონაცემთა ფართო სპექტრის საშუალებით, როგორიცაა კამერები, ჩამწერი მოწყობილობები, სახის ამოცნობა, GPS და ყველა სახის სენსორები, რომლებიც ქმნიან სხეულთა ინტერნეტს. AI არის აბსოლუტურად გადამწყვეტი კომპონენტი ციფრული ციხის წარმატებისთვის. ამის გარეშე ის ვერ იმუშავებს. საჭიროა მხეცის შიმშილი და ჩვენ ამას ვაკეთებთ ჩვენი მონაცემების შეკავებით/დაფარვით. ამას ვერანაირი კანონმდებლობა ვერ შეაჩერებს, - ამბობს ის, - ეს ხალხმა უნდა გააკეთოს.

მოკლედ, უარი უნდა ვთქვათ იმ ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომლებიც ჩვენს მონაცემებს აგროვებენ. ჩვენ ვერ შევძლებთ ყველას თავიდან აცილებას. მაგალითად, ჭკვიანი განათების ბოძებს და საგზაო კამერებს თავს ვერ ავაცილებთ გარკვეული უბნებისთვის თავის არიდების გამო, მაგრამ ბევრი რამის თავიდან აცილებაც შეგვიძლია (ჭკვიანი საათები, ფიტნეს ტრეკერები, ჭკვიანი თერმოსტატები, ჭკვიანი ტელევიზორები, ხელოვნური ინტელექტის ასისტენტები და ღინგ სათვალთვალო კამერები). ჩვენ, ასევე, შეგვიძლია ვიბრძოლოთ ლოკალურ დონეზე, რათა თავიდან ავიცილოთ სახის ამომცნობი კამერები და 5G ქსელები, ასევე შეგვიძლია, უარი ვთქვათ მომავალ ვაქცინის პასპორტსა და ვირტუალური რეალობისკენ სწრაფვაზე.

როგორც ჯაბიმ აღნიშნა, ერთ-ერთი გზა, რომლითაც ადამიანები ფარულად მიჰყავთ ციფრული ციხისკენ, არის აპლიკაციები, რომლებიც გთავაზობთ კომფორტს, საშუალებას გაძლევთ, შეუკვეთოთ საკვები ან ტრანსპორტი. საბოლოოდ, ისინი ეტაპობრივად გააუქმებენ აპებს თქვენს ტელეფონზე და გადაიტანენ მათ ვირტუალური რეალობის გუგლში. ასე რომ, თქვენ უნდა იყოთ ვირტუალურ სამყაროში მათ გამოსაყენებლად. მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ კეთდება ეს. ეს გაიძულებთ თქვენ, ღრმად შეხვიდეთ ციფრული ციხის სისტემაში, რომელიც მოიცავს ციფრულ კლონებს და გაიძლებთ, თქვენი ცხოვრების დიდი ნაწილი ვირტუალურ რეალობაში გაატაროთ.

**ქეთევან ზარნაძე**

# ნუ დაივიწყებთ საკუთარ ფესვებს – უსმინეთ ფოლკლორს!



*„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:*

## ხალხური მუსიკა – ისტორიულ ფესვებთან დაბრუნება

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მუსიკის მოსმენით მიღებულ სიმოვნებას იგივე ქიმიური საფუძველი აქვს, რაც სიყვარულის გრძნობას (სექსის პროცესს). თავის ტვინში გამოიყოფა დოფამინი (სიამოვნების ჰორმონი). ტომოგრაფიულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დოფამინი მუსიკალური ნაწარმოების კულმინაციურ მომენტამდე დაახლოებით 15 წამში გამოიყოფა, ე.ი. მსმენელი კულმინაციაზე მეტად სიამოვნებას მისი დადგომის მოლოდინით ღებულობს. ამა თუ იმ მელოდიის აღქმის ფაქტორს ასევე წარმოადგენს ადამიანის კულტურული და ნაციონალური კუთვნილება. მაგალითად, ევროპელისთვის აღმოსავლური მოტივები ყოველთვის სასარგებლო არ არის, ხოლო მსგავსი მუსიკის ხანგრძლივი ზემოქმედება არა მარტო გამაღიზიანებელია, არამედ შეუძლია სერიოზული ფსიქიკური დარღვევები გამოიწვიოს. იგივე ეხება აზიელებსაც. დასავლური მუსიკის გავლენა აღმოსავლეთის ადამიანის ფსიქიკაზე, საეჭვოა სასარგებლო იყოს. ამიტომაც არის რეკომენდებული, რომ ადამიანმა უნდა უსმინოს თავის ფოლკლორულ კომპოზიციებს. ხალხური მუსიკა ზრდის საერთო ემოციურ ტონუსს, ამაღლებს განწყობას. ადამიანს თავის ფესვები უნდა ახსოვდეს. ხალხური მუსიკა კარგად ამშვიდებს და თითქოს ისტორიულ ფესვებთან აბრუნებს მას. ყველა ერში მუსიკალური გამოსახვის შესაძლებლობა გენეტიკურ აპარატშია ჩაწერილი. კეთილმოქმედ გავლენას ახდენს ემოციებზე ბლუზი, რომელიც ამშვიდებს და აქვეითებს გაღიზიანებას. კარგი განწყობის მუსიკად ითვლება რეგი, რომელიც ამაღლებს ემოციურ ტონუსს.

## მუსიკოთერაპია დაავადებებს კურნავს

მუსიკოთერაპიის ეფექტიანობის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ბონაპარტების ოჯახს მემკვიდრეობით კუჭის წყლულოვანი დაავადებები აწუხებდათ. ნაპოლეონიც ამავე დაავადებით იტანჯებოდა. ჭამის შემდეგ ხშირად მას სასტიკი ტკივილები ეწყებოდა, რისთვისაც ნაპოლეონს სასახლეში საგანგებოდ მოწყობილი ჰქონდა სიმფონიური ორკესტრი, რომლის მოსმენის დროსაც საჭმლის მონელება უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა.

მუსიკა ძალიან სასარგებლოა კონფლიქტურ სიტუაციებში. მაგალითად, ცოლ-ქმარი განუწყვეტლივ ჩხუბობდა და გაყრის ზღვარზე იმყოფებოდა. ერთხელ სამზარეულოში მორიგი ჩხუბის დროს, უცებ, უმცროსმა შვილმა მისაღებ ოთახში პიანინოზე დაკვრა დაიწყო. ეს იყო ჰაიდნი. მშობლები უეცრად გონს მოეგენ, რამდენიმე წუთი დუმდნენ... და შერიგდნენ.

ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე ახალგაზრდობაში საკმაოდ ენაბლუ იყო. მკურნალობის მეთოდებმა მას ამ სნეულების დაძლევაში ვერ უშველა. ექიმის რჩევით დეპარდიემ ყოველდღე ორ-ორი საათი მოცარტის მუსიკის მოსმენა დაიწყო. „ჯადოსნურმა ფლეიტამ“ მართლაც საოცრება მოახდინა — რამდენიმე თვის შემდეგ მომავალ ვარსკვლავს ენაბლუობის კვალიც კი არ დარჩა. ამ მაგალითებით იმის თქმა მინდა, რომ მუსიკა დასაბამიდანვეა ჩადებული ცოცხალ არსებაში და ორგანიზმის, როგორც მთელის, მოდულაციას ახდენს; ამიტომაც ზემოქმედებს მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე. ცოცხალ არსებათა მრავალფეროვნება ცილის ურიცხვ ვარიაციას წარმოადგენს. განსხვავება ამინმჟავური ნაშთების თანმიმდევრობაშია. ცილებში ამინმჟავათა თანმიმდევრობის ინფორმაციის ჩაწერის ხერხი, რომელსაც გენეტიკური კოდი ეწოდება ნუკლეინის მჟავას მოლეკულაშია ჩადებული. ცილების სპეციფიკურობა შეიძლება შევადაროთ მუსიკას, რომელიც მცირე რაოდენობის ბგერათა შეხამებისგან მიიღება და უსაზღვროდ მრავალფეროვანია. ბუნებაში მრავალი ბგერაა, მაგრამ ყველა როდი ქმნის მუსიკას. ასევე ბუნებაში არსებული ყველა ამინმჟავა არ გამოდგება ცილის საშენ მასალად. მელოდია არ წარმოადგენს ბგერების შემთხვევით თანმიმდევრობას. ასევე ცილა არ არის ამინმჟავათა შემთხვევითი ნაკრები. ცილის მოლეკულა ისევე როგორც მელოდია, ყოველთვის ერთ შინაარს გამოსახავს. ამ ანალოგიის საფუძველზე ჩვენ პირველად მოვახდინეთ ცილის სტრუქტურის ტრანსკრიფცია მუსიკის ენაზე.



## ბგერითი ტალღები ღვინის გემოს ცვლის?!

მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე მოქმედებს. ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტით პურის საფუვრის მუსიკალურმა გახმოვანებამ პურის ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდა. ავსტრიელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მათ მიერ მიღებული შედეგები: წითელღვინიან კასრში მოათავსეს დინამიკი და ღვინოს რეგულარულად ასმენინებდნენ მოცარტის №41 სიმფონიას. „გახმოვანებული ღვინო“ ბევრად სჯობდა სხვა კასრების ღვინოს. ბგერითი ტალღები იწვევს ღვინის საფუვრის მოქმედების სტიმულირებას და, შესაბამისად, იცვლება ღვინის გემო. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებულ ღვინოს „სონორული ღვინო“ უწოდეს. საქართველოში ამ ტექნოლოგიით ღვინოს აწარმოებს „ხარება“.

## „ჰაუსი“ იმპოტენციას იწვევს?!

მუსიკა — კულტურის ყველაზე ფაქიზი და ამასთან ყველაზე გავლენიანი სფეროა. იგი შეიძლება იყოს როგორც სრულყოფილებისა და შენების, ისე ნგრევის მძლავრი იარაღი. კონფუცი ამბობდა: ნებისმიერი სახელმწიფოს დაშლა იწყება მისი მუსიკის დაშლით. ხალხს, რომელსაც არ გააჩნია სუფთა და ნათელი მუსიკა, გადაშენებისთვისაა განწირული.

მუსიკას შეუძლია როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ისე შემცირება. შამანებმა იცოდნენ მუსიკალური რიტმის საშუალებითY თუ როგორ შეიძლებოდა გულის რიტმის აჩქარება ან შენელება. ცნობილია აფრიკული ტომები, რომლებიც დამნაშავეებს დაფდაფების ხმაურით სიკვდილით სჯიდნენ. წუთში 130-150 დარტყმის სიხშირის მუსიკის რიტმი ხვდება „შამანების“ სიხშირეთა ზონაში. „მაგიური“ ჟღარუნების დარტყმებს შამანები იყენებდნენ ტრანსში შესასვლელად და ჯადოსნობის რიტუალების ჩასატარებლად. ეს რიტმი ემთხვევა თავის ტვინის „დელტა-ტალღების“ სიხშირეს, რაც აღინიშნება ელექტროენცეფალოგრამაზე ძილის, ღრმა ტრანსის, კომის მდგომარეობაში. ეს არის ნერვული უჯრედების დიდი ნაწილის სინქრონული აქტიურობის რიტმი, რომელიც მოდულირებულია 2-3 ჰერც სიხშირეზე, ე.ი. თავის ტვინის დელტა-რიტმის სიხშირეზე. მუსიკა ამ რიტმში, რომელიც ხშირად ჟღერს დისკოთეკებზე, შესაძლოა უაღრესად საშიში აღმოჩნდეს. კლასიკური მუსიკისა და ჯაზისგან განსხვავებით, რიტმი აქცენტირებულია, ძალიან ხმამაღალია და თითქმის მოკლებულია ვარიაციებს. დისკოთეკებზე მუსიკას ემატება რიტმული ცეკვა და თვალისმომჭრელი სინათლის რიტმული ციმციმი სიბნელეში, რაც იწვევს ფსიქოტრონულ ზემოქმედებას, ტვინში დელტა-რიტმების დომინირებით. იტალიელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს დელტა-რიტმის მუსიკის გავლენა ფიზიოლოგიაზე. მათი აზრით, მუსიკა „ჰაუსის“ სტილში იმპოტენციას იწვევს.

## დისკოთეკებზე ხშირი სტუმრობა ნაადრევად დაგაბერებთ

დისკოტეკებისა და კლუბების გარკვეული რიტმები იმდენად არღვევს გულის მუშაობას, რომ სისტემატიური მოსმენით რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია ნაადრევად მოხუცდე და სერიოზულად დასნეულდე. უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო, რომ მუსიკალური ჰარმონიის კანონების რღვევა იწვევს ადამიანის სულის დეფორმირებას და სხეულის დაშლას. ძველ ჩინეთში კომპოზიტორს, თუ იგი ისეთ მუსიკას ქმნიდა, რომელიც ჰარმონიას არღვევდა, სიკვდილით სჯიდნენ!

**თამარ შველიძე**

გაგრძელება იქნება

## მილოცვა



**ჩვენი გაზეთის ერთგულ თანამშრომელს, ჟურნალისტ გია ბურდულს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიყვარულს, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99